# OCCUPIED PATARA LIAKHVI GORGE[1]
# ოკუპირებული პატარა ლიახვის ხეობა

**Giorgi Sosiashvili**
Doctor of History, Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

**Ioseb Alimbarashvili**
Doctor of History, Associate Professor of Gori State Teaching University,
Gori, Chavchavadze st., #53, 1400, Georgia,
+995577151219, sosoalimbarashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-0347-1815

**Abstract.** Little Liakhvi gorge has been inhabited since ancient times. Eneolithic period tombs have been excavated in Tkviavi and Prisi. In the lower part of the valley, in historical sources, it was called Korditiriko gorge, the middle part of it was Kurbiti and the upper part was Satskhumeti. A large part of the Patara Liakhvi gorge belonged to the Tbeli family during the pre-feudal period, which is confirmed by the temples built by the representatives of the mentioned families in many villages of the gorge. In some villages of Patara Liakhvi gorge, the Pavlenishvilis had estates, one of whose ancestors lived in the village of Zemo Nikozi. Villages in the upper part of Patara Liakhvi gorge e.g. Savakhtango-included and was a princely estate. A little later, the influence of the Ksani nobility spread in the mentioned valley and most of the villages of the valley became their property. Apart from the Ksani eristavs, the Georgian Patriarchate has had its estates in the gorge since ancient times. It should be noted that at the foot of one of the tributaries of the river Patara Liakhvi, the Athos Vatopedi Monastery had its “Metoki” (owned estate) rival on the shore. Nearby, in the village of Beloti, there was a Persian-style palace of the Ksani nobility, and later, after the abolition of the Ksani nobility, Yulon Erekle's son settled in the village and Beloti became one of the most powerful centers ofeducation. After the August 2008 war, the Russian government built military bases on the occupied Georgian territory. The traces of Georgian life are falling apart day by day, unique monuments of Georgian architecture are being destroyed. The onomastic units in the Patara Liakhvi gorge are being purposefully remodeled and renamed, which serves the purpose of falsifying the history. Many "papers" are written in this spirit, which is an integral part of the information war against Georgia.

**Keywords:** Little Liakhvi gorge, Savakhtango, Pavlenishvili, occupied Georgian territory, King Erekle, Yulon Erekle's son.

[1] The current research was conducted within the framework of the project “Historical representation of the occupied territories in Shida Kartli (Patara Likahvi Gorge)" funded by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia. Grant Agreement N OTG-I-21-593. The member of the project scholar team Dr. Tamila Koshoridze had contributed to the production of the given article.

**გიორგი სოსიაშვილი**
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო
სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი,
ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., No53,1400, საქართველო,
+995577240088, giorgisosiashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-2406-8662

**იოსებ ალიმბარაშვილი**
ისტორიის დოქტორი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, ქ. გორი, ჭავჭავაძისქ., No53,1400, საქართველო,
+995577151219, sosoalimbarashvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0002-0347-1815

**აბსტრაქტი.** პატარა ლიახვის ხეობა უძველესი დროიდან იყო დასახლებელი. ენეოლითის პერიოდის ყორღანული სამარხები იქნა გათხრილი ტყვიავსა და ფრისში. ხეობის ქვემო წელს საისტორიო წყაროებში ქორდითირიკოს ხევი ეწოდებოდა, მის შუაგულ ნაწილს კურბითი, ხოლო ზემო ნაწილს საცხუმეთი. პატარა ლიახვის ხეობის დიდი ნაწილი ადრეფეოდალურ პერიოდში ტბელთა წარჩუნებულ გვარს ეკუთვნოდა, რასაც ადასტურებს ხეობის არაერთ სოფელში აღნიშნული საგვარეულოს წარმომადგენელთა მიერ აგებული ტაძრები. პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში მამულები ჰქონდათ ფავლენიშვილებს, რომელთა საგვარეულოს ერთი შტო სოფელ ზემო ნიქოზში ცხოვრობდა. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფლები ე. წ. სავახტანგოში-შედიოდა და საუფლისწულო მამულს წარმოადგენდა. ოდნავ მოგვიანებით, აღნიშნულ ხეობაში ქსნის ერისთავთა გავლენა გავრცელდა და ხეობის სოფლების უმეტესობა სწორედ მათი საკუთრება გახდა. ქსნის ერისთავების გარდა ხეობაში ძველი დროიდან მამულები ჰქონდა საქართველოს საპატრიარქოს. აღსანიშნავია, რომ მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის ფოტნისას ნაპირზე თავისი მეტოქი გააჩნდა ათონის ვატოპედის მონასტერს. იქვე ახლოს, სოფელ ბელოთში ქსნის ერისთავების სპარსული სტილით აგებული სასახლე არსებობდა, ხოლო მოგვიანებით ქსნის საერისთაოს გაუქმების შემდეგ, აღნიშნულ სოფელში იულონ ერეკლეს ძე დამკვიდრდა და ბელოთი მწიგნობრობის ერთ-ერთ მძლავრ კერად იქცა. ოკუპირებულ ისტორიულ ქართულ მიწაზე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ სამხედრო ბაზები ააშენა. დღითიდღე იშლება ქართველთა ცხოვრების ნაკვალევი, ნადგურდება ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლები. მიზანმიმართულად მიმდინარეობს, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ონომასტიკური ერთეულების გადაკეთება და სახელების გადარქმევა, რაც ისტორიის გაყალბებას ემსახურება. ამ სულისკვეთებით იწერება მრავალი ,,ნაშრომი“, რაც საქართველოს წინააღმდეგ მიმართული საინფორმაციო ომის, შემადგენელი ნაწილია.

**საკვანძო სიტყვები:** პატარა ლიახვის ხეობა, სავახტანგო, ფავლენიშვილები, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, ერეკლე II, იულონ ბატონიშვილი.

## შესავალი

მდ. პატარა ლიახვი სათავეს გუდისის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთაზე (ზღვის დონიდან 2920 მ) იღებს და სამხრეთით შიდა ქართლის ვაკეზე მიედინება. მისი დინების სიგრძე 65 კმ-ს შეადგენს, ხოლო აუზის ფართობი 513 კვ/კმ-ს. მდ. პატარა ლიახვის დინება სოფ. შერთულთან წყდება, სადაც ის მდ. დიდ ლიახვს უერთდება **(სოსიაშვილი, 2017გ).**

ვახუშტი ბაგრატიონის აღწერით: „ხოლო ისროლის ხევის და ჟამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოღოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამხრით კავკასიიდამ. ამ მთეზს უძევს აღმოსავლით ისროლის ხევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით პატარა ლიახვი ქნოღოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამხრეთად. მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამხრით, ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვის ხევი გერისა, გამოდის მშხლების მთას და დის სამხრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს.

ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა და კლდიანი, განსავალი. გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთას. შუა-ცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისას ხევს ზეით არს აწრისხევი... მას მოერთვის ხევი შამბიანისა ლიახვს აღმოსავლიდამ. გამოსდის ჟამურის მთას და დის დასავლეთად. ამ ხევს ზეით ერთვის ლიახვს ხევი ჩაბარუხეთისა, გამოსდის გერის მთას დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს ორსავ წყალს შუა არს ციხე ბეყჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოღო სამ ხეობად. აღმოსავლიდამ ჩრდილოდამ და დასავლით – ჩრდილოდ შუადამ, ხოლო ტბა ქნოღოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდან ვანათამდე არს ლიახვის ხეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის ხევნი და სივიწროვით ესე უფროს მწირი" **(ბატონიშვილი, 1973:361-363; მუსხელიშვილი, ცქიტიშვილი, 1960:186).**

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში ნამყოფი გერმანელი მოგზაური და მეცნიერი იოჰან ანტონ გიულდენშტედტი წერს: „ლიახვი შედგება ორი მოზრდილი მდინარისაგან – აღმოსავლეთის პატარა (პატარა ლიახვი) და დასავლეთის დიდი (დიდი ლიახვი) მდინარეებისაგან. ორივენი სათავეს იღებენ ფიქალიან მთეზში, თერგის შენაკად არედონისა და მტკვრის შენაკად ქსნის სათავეებთან ახლოს და მიედინებიან რა პარალელურად სამხრეთისაკენ, მტკვართან მარცხენა მხრიდან შერთვის ადგილიდან ახლოს ერთდებიან. მათი მიდამოები და თვითონაც ყველაფერში ჰგვანან ამის წინ აღწერილ მდინარეებს. ასევე მათზეც და მათ შენაკადებზეც მდებარეობენ ზევით ოსური, ქვევით _ ქართული მხარეები. პატარა ლიახვის შენაკადებია ზევიდან ქვევით: შამბიანი და პოტნისი..." **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:223).**

## მეთოდები

კვლევა, ძირითადად ემყარება ისტორიულ და პოლიტიკურ მეცნიერებებში აპრობირებულ კვლევის მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

## შედეგები

სტატიაში შესწავლილია პატარა ლიახვის ხეობის, მათ შორის, დღეისათვის უცხო ძალის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ისტორია, მისი ისტორიული გეოგრაფია, გზები და მისი მარშრუტები, გაანალიზებულია რეგიონის არქეოლოგია, ჰიდროგრაფია, ამ ტერიტორიაზე პირველი მოსახლეობის კვალი, საცხოვრისი და ეთნიკურობა.

დაზუსტებული და ლოკალიზებულია დღეისათვის არა ერთი გამქრალი ტოპონიმი და ნასახლარი, მათი წარმომავლობა.

გაანალიზებულია მოსახლეობის საქმიანობა, რელიგია.

განხილულია ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ადგილობრივი მოსახლეობის განწყობა და ხელისუფლების პოლიტიკური მიზანი სამართლებრივი სუბიექტის შექმნის თვალსაზრისით.

**დისკუსია (მსჯელობა)**

*მდ. პატარა ლიახვის აუზი*

ტერიტორიას, რომელსაც პატარა ლიახვის ხეობა მოიცავდა, შუა საუკუნეების განმავლობაში ქვეყნის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. ამას განაპირობებდა მისი სტრატეგიული მდებარეობა. ადრეფეოდალურ ხანაში იგი ორ ნაწილად იყოფოდა, მისი ქვემო ნაწილი საისტორიო წყაროებში, კერძოდ კი, VII ს. ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს სახელით იხსენიება **(კაკაბაძე, 1924:40)**. აღნიშნულ გეოგრაფიაში ქორდითირიკოს ხევთან ერთად მოხსენიებულია ,,დვანის ხევი, აჩაბეთის ხევი, საცხუმეთი" **(ცოტნიაშვილი, 1986:45; კაკაბაძე, 1924:40)**. დასახელებული ხევები, ადრეფეოდალურ პერიოდში, ადმინისტრაციულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. სომხური გეოგრაფიის მიხედვით, აღნიშნული ხევები მტკვრის ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობდნენ. ს. კაკაბაძე მიუთითებდა, რომ სომხურ ტექსტში მოხსენიებული ,,ქორდითიკორის ხევი" ენობრივი დამახინჯებით არის წარმოდგენილი და ეს ტერმინი უნდა გულისხმობდეს გვერდისძირის ხევს **(კაკაბაძე, 1924:40)**. ტერმინი ,,გვერდისძირი" არაერთ ავტორთან გვხვდება. იოანე ბატონიშვილი პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფლებს გვერდისძირის სახელით იხსენიებს: ,,ქ. ძევერა მოსახლე, ქ. შერთული მოსახლე, ტყვიავი მოსახლე, ქ. კარბი მოსახლე, ქ. ქორდი, ქ. დიცი მოსახლე ქ. არბო მოსახლე, ქ. ქვაბთა მოსახლე, ქ. სარაბუკი მოსახლე, ქ. ვანათი მოსახლე, ქ. სათიხარი მოსახლე, ქ. დისევი მოსახლე, ქ. კულბითი მოსახლე, ქ. მერე მოსახლე…...ესე სოფლები გვერდისძირს მიეწერებოდნენ იულონ ბატონიშვილს ეჭირა, ახლა ქსნის ერისთავთა აქუთ" **(ბაგრატიონი, 1986:40)**. პროფ. ჯ. გვასალიას განმარტებით, გვერდისძირი ეწოდება პატარა ლიახვსა და მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას **(გვასალია, 1983:25)**. მ. ცოტნიაშვილმა თავის ნაშრომში ,,ცხინვალის ისტორია" უარყო ს. კაკაბაძის მოსაზრება, რაც VII საუკუნის ანონიმურ სომხურ გეოგრაფიაში ნახსენები ქორდითიკორის ხევს გვერდისძირთან აიგივებდა. მკვლევრის აზრით, ქორდითირიკოს ხევი პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფელი ქორდი და მისი მიმდებარე ტერიტორიაა. ამის დამადასტურებლად, მ. ცოტნიაშვილს რამდენიმე არგუმენტი მოჰყავს. ერთი სწორედ ენობრივი დამთხვევაა: ქორდი თირიკო – ქორდი, მეორე ეს არის შინაარსობრივი სიახლოვე, კერძოდ, ,,ქორდითრიკო" შეიცავს სიტყვა თირს, რომელიც ქართულ ენაში ცეცხლგამძლე ქვას აღნიშნავს. როგორც მკვლევარი განმარტავს: ,,ქორდისა და საცხენეთის ტერიტორიებს შორის მართლაც ვხვდებით თირის შემცველ ნიადაგს" **(ცოტნიაშვილი, 1986:45)**. აღნიშნულ ტოპონიმთა იგივეობის მტკიცება სავსებით შესაძლებელია ტერიტორიული თვალსაზრისითაც, სომხურ გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ქორდითრიკოს ხევი მდებარეობდა საცხუმეთამდე, რომელიც ,,კავკასიონის" ძირშია, აქედან გამოდის ლიახვი, რომელიც მოდის სამხრეთისკენ და მტკვარს ერთვის **(კაკაბაძე, 1924:40; ცოტნიაშვილი, 1986:46)**. ამ ცნობაში მოხსენიებული საცხუმეთი, დღევანდელი საცხენეთის შესატყვისია. საცხენეთი მდ. პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებული სოფელია, თუმცა, ადრეფეოდალურ ხანაში, როდესაც ქართლი დაყოფილი იყო ადმინისტრაციულ ერთეულებად – ხევებად

(რასაც სომხური გეოგრაფიაც ადასტურებს), საცხუმეთი გაცილებით ფართო ტერიტორიაზე იყო გაშლილი **(ხარაძე, 1992:137; მარღიშვილი, 1982:61).** როგორც პროფ. ჯ. გვასალია განმარტავს, საცხუმეთი მოიცავდა პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს **(გვასალია, 1983:25)**. VII საუკუნის სომხურ გეოგრაფიაში V საუკუნის ქართლია აღწერილი, ამ დროისათვის საცხუმეთის ხევი ქორდითრიკოს ხევის გაგრძელება იყო. მ. ცოტნიაშვილის განმარტებით: ,,მართლაც, როგორც ქორდი, ისე საცხენეთი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს, მაგრამ თავისი გეოგრაფიული მდებარეობით პირველი წარმოადგენს ზემო ქართლის ვრცელი ვაკის გაგრძელებას, მეორე კი მთაში შეჭრილ და ფაქტიურად მთის დასაწყის პუნქტს...... აღწერაში ქორდითირიკოს ხევი პატარა ლიახვის ხეობის იმ მიდამოების გაგებით უნდა იყოს მოხსენიებული, სადაც სოფელი ქორდია, ისევე როგორც აქვე მითითებული ,,აჩაბეთის ხევებში" იგულისხმება დიდი ლიახვის ხეობის გარკვეული ნაწილი" **(ცოტნიაშვილი, 1986:46).** ჩვენი აზრით, მკვლევრის ამ განმარტებით ,,ქორდითირიკოს ხევის" ტერიტორიული არეალი მეტისმეტად დავიწროებულია, რადგან, როგორც ზემოთ მოყვანილი ცნობიდან ჩანს (იგულისხმება სომხური გეოგრაფია), ქორდითრიკოს ხევი იყო არა მარტო სოფელი ქორდი და მისი მიდამოები, არამედ გაცილებით ვრცელი ტერიტორია, პატარა ლიახვის მარჯვენა სანაპირო ზოლია, საცხუმეთამდე. ,,ქორდითირიკოს ხევი ვიდრე საცხუმეთამდე". **(კაკაბაძე, 1924:40)** [2]

ქართულ ენაში თირი აღნიშნავდა ცეცხლგამძლე ქვას. საყურადღებოა, რომ ასეთ ქანებს იოჰან გიულდენშტედტი იხსენიებს პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, კერძოდ, საცხენეთთან (ძველი საცხუმეთი): ,,გზაზე ცხინვალიდან, ლარგვისის მონასტრისკენ, ქსანზე ე.ი. ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ, ქანები არის ხან მოწითალო, ხანწიდის მსგავსი კლდე. საცხენეთთან რუხი კირიანი ქვიშაა და მდ. ფოტრისზე ყავისფერი ბაზალტი" **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1964:27).** საცხენეთთან რუხი კირიანი ქვიშაქვის არსებობა ხომ არ არის გარკვეული მსგავსება ქორდის ხევის თირთან, ქართული ენის ლექსიკონი განმარტავს: ,,თირი, ნაცრისფერი რბილი ქვა, ითლება, ცეცხლზე არ სკდება, მისგან აკეთებენ კერას – მჭადქვა" **(ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, 1986:241).** როგორც აღინიშნა, პატარა ლიახვის ხეობის შუა და ზემო ნაწილს საცხუმეთი ერქვა. ჯ. გვასალის განმარტებით, საცხუმეთი პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირს ეწოდებოდა **(გვასალია, 1983, გვ. 25; მარღიშვილი, 1982, გვ. 61).** მოგვიანებით საცხუმეთი საცხენისის ფორმით გვხვდება. კ. ხარაძის აზრით: "საცხენისი ძველ წყაროებში ამ სახელით არის აღნიშნული. შემდეგში -ის სუფიქსი -ეთ სუფიქსით შეიცვალა. ასეა 1930 წლის ადმინისტრაციულ დაყოფაშიც. აქედან მოყოლებული პატარა ლიახვის ხეობა საცხუმეთად იწოდებოდა" **(ხარაძე, 1992:137).**

საბოლოოდ, აღნიშნულ ტოპონიმში "ის" სუფიქსი "ეთ" სუფიქსით შეიცვალა **(ხარაძე, 1992:137)** და პატარა ლიახვის ერთ-ერთ სოფელს „საცხენეთის" ფორმით შემორჩა. ტოპონიმ "საცხუმეთს" ყურადღება მიაქცია ჯ. გვასალიამ, იგი წერს: "ეს სახელი ასე იშლება: სა-ცხუმ-ეთ-ი, სადაც "ცხუმ" ფუძეა, ხოლო სა-ეთ ადგილის სახელწოდების ქართული მაწარმოებლები. "ცხუმ" სვანურად რცხილას ნიშნავს. სვანური ფუძე ქართული მწარმოებლებით გაფორმდა, საცხუმეთის ოლქის ბოლოში გვაქვს ტოპონიმი ცხინვალი (ქრცხილვანი). ამ სახელის ქართულ რცხილადან წარმოშობა ეჭვს არ იწვევს. მაშასადამე, გვაქვს ერთმანეთის გვერდით არსებული ერთი და იმავე შინაარსის ქართული და სვანური ტოპონიმები" **(ხარაძე, 1992:165-166).** აღსანიშნავია, რომ საცხუმეთის მსგავსად

---

[2] მოგვიანებით ქორდითირიკოს როგორც ხევის აღმნიშვნელი სახელი დავიწროვდა და საბოლოოდ ერთ-ერთ სოფლის – ქორდის სახელით შემორჩა. თავის გამოუქვეყნებელ ჩანაწერში ცნობილი ეთნოლოგი, პროფ. გ. ჯალაბაძე, რომელიც წარმოშობით სოფელ ქორდიდან იყო, ქორდის ეტიმოლოგიაზე საუბრობს და აღნიშნულ სახელს ,,კორდს" უკავშირებს". იხ. **(სოსიაშვილი, 2007ბ:16).**

შიდა ქართლის არაერთი ტოპონიმი იხსნება ზანურ-სვანურის მეშვეობით. მაგ: ლარგვისი, რომელსაც თუ სვანური ენის მეშვეობით გავშიფრავთ, შუა ადგილს ნიშნავს, ასეთივეა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ტოპონიმი – გერი, რაც მეგრულად მგელს აღნიშნავს. საინტერესოა პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ისეთი გვარები, როგორიცაა: ლაფაჩი და ფაჩური, "ფაჩ" სვანურად ცაცხვის სახელია. ასეთი ტოპონიმები, რომელთა განმარტებაც ზანურ-სვანურის მეშვეობით ხერხდება, პატარა ლიახვის ხეობაში სხვაც არაერთია **(სოსიაშვილი, 2013:54-60).** შიდა ქართლში ზანურ-სვანური ტოპონიმების გავრცელებასთან დაკავშირებით ჯ. გვასალია წერს: "თუ უფრო ადრეული ხანიდან არა, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან მაინც დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მოსახლეობა, არქეოლოგიურ კულტურათა მიხედვით, კულტურულ-ეთნიკურად მჭიდროდაა დაკავშირებული" **(გვასალია, 1983:167; სოსიაშვილი, 2012).** მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირს, მერმინდელი "გვერდისძირის" ნაწილს, იქ სადაც სოფლები დისევი და კულბითია, ,,კურბითი" ეწოდებოდა, ამას გვაფიქრებინებს XI საუკუნის მცხეთის საბუთი, რომლის მიხედვითაც მელქისედეკ კათალიკოსმა სვეტიცხოველს არაერთი სოფელი შეწირა. სწორედ ამ დოკუმენტში იხსენიება ტოპონიმი "კურბითი" **(ზერძენიშვილი, 1967:283).** XI საუკუნეში კურბითი პატარა ლიახვის გაღმა მხარის, ორბოძლის მთის სამხრეთ ფერდობის აღმნიშვნელი სახელი იყო და აქ რამდენიმე სოფელი შედიოდა, რომელსაც გვიანფეოდალურ პერიოდში "გვერდისძირი" დაერქვა. მოგვიანებით კულბითი ერთ-ერთ სოფელს ერქვა.

**არქეოლოგიური აღმოჩენები.** შიდა ქართლის ხეობები მჭიდროდ იყო დასახლებული უკვე ენეოლითსა და ადრე ბრინჯაოს ხანაში, რაც არაერთი მიზეზით იყო განპირობებული: პირველ რიგში, მდინარეები ითვლებოდა კომუნიკაციის მნიშვნელოვან საშუალებად. განვითარებული იყო თევზჭერა და მიწის სავარგულების ხელოვნური მორწყვა **(Техов, 1957:31-32).** ლიახვის ხეობაში ენეოლითის ხანის ძეგლები პირველად აღმოჩენილ იქნა არქეოლოგ ს. ნადიმაშვილის მიერ 1930-იან წლებში. მის მიერ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ასევე აღმოჩენილი და აღნუსხული იქნა ციკლოპური ნაგებობები. ს. ნადიმაშვილმა პირველმა მიაქცია ყურადღება შიდა ქართლში არქეოლოგიური მნიშვნელობის მქონე „მაღლობების" არსებობას. მან გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში წარმოადგინა წერილობითი მოხსენება, რის საფუძველზეც სოფ. ტყვიავში ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვა. „მუშაობის პროცესში გამოირკვა, რომ „ძველი მაღლობები" გასდევს მდ. პატარა ლიახვის ნაპირს და მოიპოვება სოფ. ქიწნისში,მარანაში, ტყვიავში, ტირძნისში, მერეთში და კარბში. მარტო ტყვიავში აღრიცხულია 25-მდე ასეთი „მაღლობი", რომელთა ზედაპირი მოკირწყლულია რიყის ქვით; ფორმით ოვალური, მათი ცენტრის სიმაღლე უდრის 1-2 მეტრამდის. ზედაპირის მოსინჯვის დროს აღმოჩნდა ობსიდიანისა და თიხის ჭურჭლის ნატეხები, რაც აშკარად, ამოწმებს, რომ ეს „ძველი მაღლობები" ყორღანის ფორმის ძველ სამარხებს წარმოადგენენ" (მაკალათია, 1943, გვ. 11). ტყვიავში დადასტურებულ ყორღანთაგან გაითხარა ე.წ. „ხარის გორა", რომელიც შედგებოდა სამი ერთმანეთის მახლობლად მდებარე ყორღანისაგან, რომლებიც მოთავსებული იყო ტყვიავის საშუალო სკოლის ეზოს მეზობლად, ყოფილ ზოლოტნიცკის მამულში. პირველი ყორღანის ზედაპირი მჭიდროდ იყო მოკურწყლული რიყის ქვით, რომლებზეც ჩნდებოდა თიხის ჭურჭლისა და ობსიდიანის ნატეხები, აქვე იყო რკინის ისრისწვერი და ბრინჯაოს ჯვარი, რომელსაც ბუდიდან თვალი ჰქონდა ამოვარდნილი, ხელსაფქვავი და ბრინჯაოს ენამოტეხილი ფიბულა. ამ ყორღანში დადასტურდა 42 სამარხი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ტყვიავის ყორღანული სამარხები განსაკუთრებულად საინტერესოა დაკრძალვის წესისა და რიტუალის თვალსაზრისით: მიცვალებული ნეშტი არ იყო მოთავსებული რაიმე ჭურჭელში, იგი პირდაპირ მიწაში იყო დაკრძალული. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს დამარხვის წესების სხვაობა: მოკრუნჩხული,

ფეხებმოხრილად გვერდზე მწოლარე, გულაღმამწოლარე და სხვ. როგორც ს. მაკალათია მიუთითებს: „დასაფლავებათა ამ ფორმებში უფრო ძველ წესად ითვლება მოკრუნჩხული, რომელიც ჩვეულებრივად წევს მარცხენა მხარეზე და პირი აქვთ ჩრდილოეთისაკენ ან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ...ზოგიერთი მკვლევარი ამ წესში ხედავდა სიკვდილის დაკავშირებას ძილთან და ამის გამო მიცვალებულსაც აძლევდნენ მძინარე ადამიანის პოზას. ფიქრობენ, აგრეთვე, ადამიანის დედამიწასთან იმ სახით დაკავშრებას, რა მდგომარეობაშიც იყო დედის წიაღში. მაგრამ ამ მოსაზრებებს დღეს უკვე არ იზიარებენ და დასაფლავების ასეთ წესს უკავშირებენ საზოგადოებრვ განვითარებია გარკვეულ სტადიას, სახელდობრ, გვაროვნულ საზოგადოებას და როგორც მისი გადმონაშთი, ხანგრძლივად არსებობდა. მოკრუნჩხულ ფორმას მიცვალებულის ნეშტს აძლევდნენ ხელოვნურად...ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში ამგვარი წესები ცნობილია“ **(მაკალათია, 1943: 35-36)**. ტყვიავის ყორღანში აღმოჩნდა ობსიდიანის და კაჟის იარაღები, დიაბაზის ლახტის თავი, ძვლის ნაკეთობანი, ბრინჯაოს იარაღები. სამივე ყორღანში ნაკლებად იყო ჩატანებული თიხის ჭურჭელი. თითქმის არც ერთი მათგანი მთელი არ იყო. განათხარი მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე ს. მაკალათია თვლის, რომ ტყვიავის ყორღანები შეგვიძლია მივაკუთვნოთ „ძველი ბრინჯაოს ხანის ყორღანულ სამარხებს, დაახლოვებით მესამე ათასწლეულის შუა პერიოდს“ **(მაკალათია, 1943: 50)**. თუმცა, ბ. კუფტინი, რომელიც ტყვიავის არქეოლოგიურ ექსპედიციას ძალზე დიდ მნიშნელობას ანიჭებს, ყორღანებს უფრო ადრეული პერიოდით ათარიღებს და მის პარალელებს მტკვარ-არაქსის კულტურის გვიან პერიოდში ეძებს **(Куфтин, 1949:5-8)**. ყორღანული სამარხების საინტერესო მასალა იქნა მოპოვებული ფრისში. აქ 1959 წ. გათხრები წარმოებდა ბ. ტეხოვის ხელმძღვანელობით. გამოვლენილი იქნა ყორღანი, რომელიც რიყის ქვებისაგან იყო შექმნილი და ჰქონდა წრის ფორმა. ყორღანის ცენტრალური ნაწილის შემაღლება წვრილი ქვებისაგან შედგებოდა, ხოლო სამხრეთით ოდნავ წაგრძელებული ნაწილი-დიდი ზომის ქვებისაგან. სამარხი გამართული იყო ყორღანის ცენტრში. მიცვალებულები იწვნენ მოკრუნჩხულ ფორმაში. მათთან ერთად დადასტურდა ხუთი ცალი თიხის ჭურჭელი-ოთხი მათგანი მიწის ზეწოლით იყო დაზიანებული, თუმცა ფორმა ირკვეოდა, მეხუთესაგან კი მხოლოდ ძირის ნაწილი იყო შემორჩენილი. ოთხი ქოთნის აღდგენა მოხერხდა და გაირკვა, რომ თიხა სუსტად იყო გამომწვარი, შიგნიდან შავად შეღებილი, გარედან, ყელთან კი მცირედ ორნამენტებული სამკუთხა ფორმებით. მასალის მიხედვით ჭურჭელი ადრებრინჯაოს ხანას მიეკუთვნა. თრიალეთისა და სამთავროს ყორღანული სამარხებისაგან განსხვავებით, ფრისში გათხრილი სამარხები კოლექტიური იყო, რაც მსგავსებას პოულობს ტყვიავის სამარხებთან. ისინი არ იყო განკუთვნილი მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებისათვის, რადგან ღარიბი იყო სამარხეული ინვენტარით. ფრისში დადასტურებული თიხის ჭურჭელი განიცდის ენეოლითური კულტურის გავლენას. თიხის ჭურჭლის გარდა ფრისში არმოჩენილი იქნა სპილენძის ან ბრინჯაოს სატევრის პირი, რომელიც არქაული ნიშნებით ხასიათდება - ტარზე აქვს ორი ნახვრეტი, რომელიც, გ. ჩუბინიშვილის მიხედვით, ადრებრინჯაოს ხანისათვის იყო დამახასიათებელი. ამგვარად, ფრისის ყორღანული სამარხის მასალის შედარებითი შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ყორღანი ადრე და შუაბრინჯაოს მიჯნას განეკუთვნება. მსგავსი კერამიკული ნაწარმი აღმოჩენილია საჩხერეში, რომელიც ადრეულ ბრინჯაოს პერიოდს განეკუთვნება. ფრისის სამარხში აღმოჩნდა ხანჯლის პირი, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული მთელს ამიერკავკასიაში. ბ. ტეხოვის განმარტებით, ფრისის ყორღანი ადამიანთა კოლექტიურ სამარხს წარმოადგენდა **(Техов, 1963:36-39)**. აღნიშნული ადგილი სოფელში ,,გორეების" სახელით არის ცნობილი. როგორც დიცის მაცხოვრებლები ამბობენ, ამ ადგილზე სოფლის ერთ-ერთი უბნიდან გვირაბი გადიოდა, დაინტერესებული ახალგაზრდები გვირაბს მართლაც ეძებდნენ და გათხრებიც ჩაატარეს XX საუკუნის 90-იან წლებში, მაგრამ ვერ

მიაკვლიეს. დიცის მკვიდრთა ერთი ნაწილის ინფორმაციით, ამ ადგილას წინა საუკუნის დასაწყისში ქოლერით გარდაცვლილი ადამიანები იკრძალებოდა, თუმცა, ეს ჩვენი აზრით, სინამდვილესთან ახლოს არ უნდა იყოს, რადგან ეპიდემიით გარდაცვლილი ადამიანებს სოფლის სასაფლაოზეც კრძალავდნენ, ამას ადასტურებს შემორჩენილი ეპიტაფიები **(სოსიაშვილი, 2016ა)**. ,,გორეების" სახელით ცნობილი ადგილი დაახლ. 1000 კვ. მ.-ის ფართობის ბუჩქნარით დაფარული ბორცვია. მიწის სიღრმეში მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ფრაგმენტები ჩანს. ქვები მომოფანტულია ბორცვის მთელ პერიმეტრზე, სადაც შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებიც გვხვდება. გადმოცემით, XX საუკუნის 50-იან წლებში, როდესაც ბორცვის გარშემო არსებული სავარგულები კოლმეურნეობის მიერ იხვნებოდა, მიწის სიღრმიდან დიდი რაოდენობით თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ამოდიოდა. რომელიც, სამწუხაროდ, უყურადღებობით განადგურდა. სახელწოდეება ,,გორეები", ასევე შუა მინდორში არსებული ბორცვის ფორმა და აქ არსებული მშრალი წყობით ამოყვანილი კედლების ფრაგმენტები გვაძლევს ვარაუდის დაშვების შესაძლებლობას, რომ საქმე შესაძლოა გვქონდეს ყორღანულ სამარხთან. დიცის ,,გორეების" კვლევა სამომავლო საქმეა და ვფიქრობთ, ბევრ საინტერესო ფურცელს შემატებს ჩვენს ცოდნას პატარა ლიახვის ხეობის უძველესი ისტორიის შესახებ. უკანასკნელ ხანს, ძალზე საინტერესო არქეოლოგიური მასალა აღმოჩნდა სოფ. ქვემო ნიქოზში. მართალია, აღნიშნული სოფელი დიდი ლიახვის ხეობას ეკუთვნის, თუმცა, უნდა ითქვას, რომ დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობა, ერთმანეთთან ტერიტორიული სიახლოვიდან გამომდინარე, მჭიდრო კონტაქტში იყო და ქვემო ნიქოზში აღმოჩენილი ნივთები წარმოდგენას გვიქმნის ამ კუთხის მაცხოვრებელთა ცხოვრების და საქმიანობის შესახებ. ქვ. ნიქოზის მკვიდრმა ბადრი დევიძემ, თავის კუთვნილ ნაკვეთში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს მიაკვლია საინტერესო ნივთებს. გამოვლინდა ბრინჯაოს ცული, შავპრიალა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, ბნრინჯაოს და რკინის წიდები. ტერიტორია, სადაც აღნიშნული ნივთები იქნა აღმოჩენილი მომაღლო ადგილზეა, უძველეს დროში, იგი, სავარაუდოდ, დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო უნდა ყოფილიყო. წინასწარი ვარაუდით, აქ ერთ დროს ლითონის გამოსადნობი ქურა (ქურები) უნდა ყოფილიყო. ჩანდა გამომწვარი მიწის კვალი(მოწითალო შეფერილობის). გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით ქვემო ნიქოზში, ბადრი დევიძის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგზარდობის საქმეთა სამინისტორ მიერ დაფინასებული პროექტის: ,,არქეოლოგია ახალგაზრდებთან ერთად საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს" ფარგლებში არქეოლოგიური გათხრები დაიწყო, სამუშაოების შედეგად გამოვლინდა თიხით ამოყვანილი კედლის ფრაგმენტი (თხრილი #1), ასევე მიცვალებულის ორმოსამარხი (თხრილი #2) გაწმენდითი სამუშაოების შედეგად გამოჩნდა ადამიანის ჩონჩხი. იგი მოკუნტულ მდგომარეობაშია დაკრძალული, მარჯვენა მხარეს, მიცვალებულს ჩატანებული აქვს ერთი კოჭობი. წინასწარი ვარაუდით, სამარხი ჩვ.წ. აღ-მდე III ათასწლეულს I ნახევარს განეკუთვნება (მტკვარ-არაქსის კულტურა) და ადრე ბრინჯაოს გვიანდელი პერიოდით თარიღდება, თუმცა კვლევა გრძელდება და დაზუსტებული ინფორმაცია ახლო მომავალში გახდება ცნობილი. [3]

[3] აღსანიშნავია, რომ მტკვარ-არაქსის კულტურულ წრეს ეკუთვნის ქ. გორთან, ქალაქიდან ორიოდე კმ.-ის დაშორებით გუდაბერტყას ნამოსახლარი, სადაც ჯერ კიდევ გასული საუკუნეში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები. უკანასკნელ წლებში გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად (ხელმძღვანელი პროფ. გიორგი მინდიაშვილი) ძალზე საინტერესო მასალა გამოვლინდა. მათ შორის, საცხოვრებლის ნაშთები, კერია, კერამიკული ნაწარმი და სხვ.

*მდ. პატარა ლიახვის შენაკადები.*

მდ. პატარა ლიახვს რამდენიმე შენაკადი აქვს (**სოსიაშვილი, 2018ბ**). ჩრდილოეთის მხრიდან მას მდ. ფოტნისა უერთდება. სწორედ ამ ადგილის მიხედვით ეწოდებოდა მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს „ფოტრისის ხევი", რომლის შესახებაც ვახუშტი წერს: „ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, კლდიანი და ძნიად განსავალ, გამოსდის გერისა და შუაცხვირის მთასა" (**ბატონიშვილი, 1973:362**). პატარა ლიახვის ხეობაში ვახუშტი ბატონიშვილი ადასტურებს ტოპონიმ „ფოტორისას" არსებობას: „გამოსდის პატარა ლიახვი ქნოღოს ზეით მცირე ტბას და მოდის ფოტორისამდე სამჴრეთად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჴრით" (**ბატონიშვილი, 1973:362**).

„ფოტორს" - ასეთ ტოპონიმს არ იცნობს იოანე ბაგრატიონი, პატარა ლიახვის ხეობის სოფლების ჩამონათვალში სოფ. საცხენისის შემდეგ დასახლებული სოფლებიდან ის იხსენიებს „ედემ ქალაქს", შემდეგ კი „ბელოთს" (**ბაგრატიონი, 1986:38**).

მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს - ფოტრისის წყალს უკავშირდება ტოპონიმი „ფოტორო". სულხან საბას განმარტებით: „ფოტორო, დიდი, დიდი ფლატე" (**ორბელიანი, 1993:197**).

,,ფოტორო", სავარაუდოდ, მდ. ფოტრისის წყალსა და მდ. პატარა ლიახვის შორის არსებულ ტერიტორიას ერქვა. ფოტრისის წყლისა და მდ. პატარა ლიახვის შესართავთან არსებობდა ათონის მთაზე ვატოპედის ბერძნული მონასტრის საკუთრებაში არსებული ქაშუეთის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარი, რომელიც მდ. პატარა ლიახვს იმდენად დაუზიანებია, რომ XVII საუკუნის II ნახევარში ქართლის დედოფალს მარიამს მის სანაცვლოდ ახალი ტაძარი აუგია. ვატოპედის ბერძნულ მონასტერს თავისი მეტოქის შემოგარენში რამდენიმე კომლი გლეხი და ვენახები **ჰქონდა.** (**ქართული სამართლის ძეგლები, 1974:128; სოსიაშვილი, 2017ა:54**).

მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკადს გერის ხევი წარმოადგენდა. ვახუშტი ბატონიშვილის განმარტებით, აღნიშნული შენაკადი პატარა ლიახვს დასავლეთის მხრიდან უერთდებოდა: ,,ხოლო ისროლის ჴევის და ჟამურის დასავლით არს პატარა ლიახვის ხეობა. ამათ განჰყოფს მთა ნენდერისა, წიფორისა და ქნოღოსი. მდებარეობენ მთანი ესენი ჩრდილოდამ სამჴრით კავკასიიდამ. ამ მთეზს უძეს აღმოსავლით ისროლის ჴევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით პატარა ლიახვი. გამოსდის პატარა ლიახვი ქნოღოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამჴრეთად, მერმე საცხენის ქუემოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჴრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვის ხევი გერისა გამოდის მშხლების მთას და დის სამჴრით" (**ბატონიშვილი, 1973:362**). პროფ. ჯ. გვასალია, თავის ნაშრომში ,,აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები" პატარა ლიახვის შენაკადებიდან იხსენიებს გერის ხევს, რომელიც, მეცნიერის დაკვირვებით, მდ. პატარა ლიახვს მარჯვნიდან ერთვის. (**გვასალია, 1983:165**). აღნიშნულ შენაკადს დამახინჯებული ფორმით იხსენიებს იოჰან გიულტენშტედტი, რომელიც აღნიშნავს: ,,საცხენეთიდან 1 საათის შემდეგ ვიყავით მდ. გრიაზე სოფ. ვანათთან. გრიაზე მდებარეობს ოსური რაიონი ჩასუ, რომელიც ეკუთვნის ერეკლე მეფეს". (**გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:99**) ჩვენი აზრით, გიულდენშტედტის მიერ მოხსენიებული მდინარე „გრია" და ვახუშტი ბატონიშვილის მიერ აღწერილი გერის ხევი, მდ. პატარა ლიახვის ერთი და იგივე შენაკადი უნდა ყოფილიყო. ტოპონიმი ,,ღვრია" ვანათის ჩრდილოეთ მხარეს დღემდე არსებობს. "ღვრია" ეწოდება როგორც ხევს, ასევე სოფელსაც, რომელიც ქართლში განთქმული გერის წმინდა გიორგის ტაძრისაკენ (**სოსიაშვილი, 2011: 87**) მიმავალ გზაზე მდებარეობს. ,,ღვრიის ხევში" შედიოდა შემდეგი სოფლები: ღვრია, გერი, გუდისი, კლარსი, მარილეთი, მიფარეთი, საბოლოკე, შულეური, წიარა (**ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986:590**) პატარა ლიახვის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვისას ,,მღვრიას ხევს" იხსენიებს პროფ. ს.

მაკალათია. როგორც მკვლევარი მიუთითებს: ,,ეს გრძელი ხევია და მთებზე ოსების სოფლებია გაფანტული. აქა-იქ ძველი კოშკებია მთიულური ტიპისა, სოფ. ყლარსთან ხევი თავდება. გზა მარჯვნივ, მთაში შეუხვევს, საიდანაც გერის მიდამოები იწყება" **(მაკალათია, 1971:59-60)** ვახუშტისთან მდ. პატარა ლიახვის შენაკადად სოფელ ვანათთან გერის ხევია დაფიქსირებული და მღვრიას ხევი არ გვხვდება, მღვრია ამ ხევს მოგვიანებით უნდა შერქმეოდა.[4] მდ. პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი უნდა ყოფილიყო წიასწყალი. 1559 წლით არის დათარიღებულ შეწირულობის განახლების სიგელი სვეტიცხოვლისადმი, რომელიც, სავარაუდოდ, სიმონ I (1556-1600) მოღვაწეობის დროს არის შედგენილი. ქართლის მეფეს სვეტიცხოვლისადმი შეწირული მამულები განუახლებია.

დოკუმენტში ჩამოთვლილ მამულთა ნუსხაში გვხვდება ჰიდრონიმი ,,წიასწყალი": ,,ვირშა მისითა შესავლითა; წიასწყალთა ერისთვისაგან შემოწირული არჩვაძეები მათითა მამულითა.." **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:244)** მოგვიანებით, ნიკოლოზ კათალიკოზმა სიმონ I განახლებული სვეტიცხოვლის მამულები, მათ შორის წიასწყალს მცხოვრები არჩვაძეები, რომლებიც ერისთავს[5] სვეტიცხოვლისადმი ჰყავდა შეწირული. ვახტანგ ბატონიშვილს მუხრანთან ახლოს არსებულ სოფელ ყურისუბანში გაუცვალა. ზუსტად ძნელია წიასწყალის, როგორც პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადის ლოკალიზება, თუმცა, ის ჩვენი აზრით, პატარა ლიახვს სოფელ ქორდთან ერთვოდა. (სავარაუდოდ, აღმოსავლეთის მხრიდან, სადაც ქსნის ერისთავთა კუთვნილი მამულები იყო. არ გამოვრიცხავთ, რომ ქორდის სიახლოვეს წიასწყალის სახელით მცირე სოფელიც ყოფილიყო, სადაც ქსნის ერისთავის მფლობელობაში მყოფი არჩვაძეები ცხოვრობდნენ. არჩვაძეები, უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტების მიხედვით, სოფელ ქორდში ცხოვრობდნენ. 1818 წლის კამერალურ აღწერაში ქორდში იხსენიებიან გოგია და შიო არჩვაძეები ოჯახებით, რომლებიც გედევანიშვილების ყმებს წარმოადგენენ **(ალიმბარაშვილი, 2021:393-396)** XVII საუკუნის დასაწყისში ქსნის ერისთავებმა ქორდში მცხოვრები კუთვნილი ათი კომლი ყმა საპატრიარქოს გადასცეს. ეკლესიისათვის ზოძებულ ყმებს შორის იხსენიება არჩვაძე შოშიტა. **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ბ:482; სოსიაშვილი, 2007ბ:23)** შესაძლოა, პატარა ლიახვის და მის შენაკადის წიასწყალის სიახლოვეს მცხოვრები არჩვაძეები სოფელ ქორდში გადასახლდნენ.

მდ. პატარა ლიახვს აღმოსავლეთის, კერძოდ, დისევ-კულბითის მხრიდან კიდევ ერთი შენაკადი ერთვოდა, ეს იყო ვირშას წყალი. ტოპონიმი ვირშა, არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. მაგ., 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებულ არაერთ სოფელთან ერთად ვირშას მონასტერიც იხსენიება. (ამის შესახებ ვრცლად იხ. ქვემოთ) ზუსტად ძნელია ვირშას მთის და მონასტრის ლოკალიზება, თუმცა, ჩვენი აზრით, იგი პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა, სოფელ ქორდთან ახლოს, რადგან ვირშის ,,შესავალნი" იყვნენ სოფელი ქორდი და ბადასშვილნი, რომლებიც ვირშასთან ერთად, სამეფო ხელისუფლებას კათალიკოს თეოდორესთვის გადაუცია. ჩვენი აზრით, ვირშის მთა, ასევე სოფელი ვირშა და აქ არსებული ვირშის მონასტერი, ერთ ტერიტორიულ ერთეულში მდებარეობდა, სავარაუდოდ, მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა

[4] სულხან-საბას განმარტებით „მღურივე – ნოტიო არეული". (ორბელიანი, 1991:535) ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მითითებულია ღვრიის ხევის სოფლები ღვრია, გერი, გუდისი, კლარსი, მარილეთი, მიფარეთი, საზოლოკე, შულეური, წიარა, ეს იგივე გერის ხევში შემავალი სოფლებია. მდ. პატარა ლიახვს, როგორც ვახუშტის თხზულებიდან ჩანს, სხვა შენაკადებიც ჰქონდა: ჩაბარუხეთის ხევი და შამბიანის ხევი. ჩაბარუხის ხევში მდებარეობდა ბეხუშეს ციხე. (გვასალია, 1983:69) მდ. პატარა ლიახვს სხვა მცირე ღელეებიც უერთდებოდა. სოფელ ბელოთთან: ავაზანი, არჩუაანთ ხევა, კორკოტა, ხოშურის ხევა. (ოთინაშვილი, 2002:205-207)

[5] სავარაუდოდ საუბარი უნდა იყოს ქსნის ერისთავზე.

ნაპირზე, დისევ-კულბითის სიახლოვეს, ორბოძალას მთის სამხრეთ ფერდობზე. აქედან უერთდებოდა მდ. პატარა ლიახვს შენაკადი ვირშის წყალი. ჰიდრონიმი ,,ვირშის წყალი" იხსენიება ქართლის კათალიკოსის ნიკოლოზის (ამილახვარი) მიერ სვეტისცხოვლის სამსახურში მყოფი გედევანიშვილებისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში: ,,ქკ-ს: ტნივ: ჩვენ...ყოვლისა: საქართველოსა: დიდმან: მამათ: მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან: ამილახორის: (იოთამის)ძემან: პატრონმან: ნიკოლოზ: ესე...წყალობის წიგნი...გიბოძეთ თქვენ სვეტიცხოვლისა და ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ელიოზის ძეთა გედევანის შვილის გიორგის, ძმასა შენსა დავითს, როსებს, ზაალს და გედევანს…ვირშის წყალი, მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი საყმოთ დაგვეჯენით და გიბოძეთ..." **(ჟორდანია, 1897:494).** მდ. პატარა ლიახვს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან კიდევ ერთ-ერთი შენაკადი-<u>ჭარებულა</u> უერთდება. შენაკადის სახელი სოფელ ჭარებს უკავშირდება. სოფელი ორ ნაწილად იყოფოდა, ქვემო ჭარებს <u>რაზმაანთ კარს</u> უწოდებდნენ (აქ მცხოვრები რაზმაძეების გვარის გამო), ხოლო ზემო ჭარებს – <u>ლაფაჩებს</u> **(მეგრელიძე, 1997:32)**[6] აღნიშნული სოფელი ორბოძალას ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მდებარეობს.[7] აღსანიშნავია, რომ სოფელ ჭარებს სამხრეთ-აღმოსავლეთ მხარეს მცირე სოფელი გოგიაანთ კარი ესაზღვრება. აღნიშნული სოფელი ჭარებულას ნაპირზე მდებარეობს. მდ. პატარა ლიახვის შენაკადს - ჭარებულას, გოგიაანთ კართან მცირე შენაკადი ,,ქვაბთა ხევა" უერთდებოდა. როგორც ჩანს, უწინ აქ სოფელი <u>,,ქუაბნი"</u> არსებობდა. იმ არეალში, რომელსაც მდ. პატარა ლიახვის აუზი მოიცავდა, სხვა არაერთი ჰიდრონიმი გვხვდება.

მდ. პატარა ლიახვის ხეობა ძველი დროიდანვე გამოირჩეოდა საირიგაციო თვისებებით. იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში ,,ქართლ-კახეთის აღწერა" ჩამოთვლილი აქვს ის სოფლები, რომლებიც პატარა ლიახვით ირწყვებოდა. ესენი იყო: ძევერა, შერთული, ტყვიავი, კარბი, ქორდი, არბო, დიცი, არგვიცი, ერედვი, ქვაბთა, სარაბუკი, ვანათი, სათიხარი, დისევი, კულბითი, მერე (იგივე მერეთი), ოსის სოფელი **(ბაგრატიონი, 1986:40).** ამ სოფლებში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო სარწყავი მიწათმოქმედება. აღსანიშნავია, რომ ის სოფლები, რომლებიც პატარა ლიახვს უშუალოდ არ ემეზობლებოდა, ლიახვიდან გამოყვანილი რუებით სარგებლობდა **(ბატონიშვილი, 1973:362; სოსიაშვილი, 2010ა:9).**

ვახუშტი ბატონიშვილს აღნიშნული აქვს, რომ ჯარიაშენიდან ვანათამდე ძალზე ნოყიერი მიწა იყო, "...არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ბრინჯ-ბამბის გარდა ყოველნი სცენდების ნაყოფიერად... არამედ ღვინო იქაური თხელი და მომჟავო გარნა საამო სასმელად" **(ბატონიშვილი, 1973:363).**

---

[6] აღსანიშნავია, რომ ჭარებში სხვა ხუროთმოძღვრულ ძეგლებთან ერთად შემორჩენილია X-XI საუკუნეების ღვთისმშობლის სახელობის ბაზილიკური ტაძრის ფრაგმენტი. (მეგრელიძე, 1997: 33); აღნიშნულ ტაძარში პროფ. ჯ. გვასალიამ მიაკვლია, სავარაუდოდ, X ს. საფლავის სტელას, სადაც დატანილია ასომთავრული წარწერა. იხ. (გვასალია, 1976-1977:43-44)

[7] ჭარებს უნდა უკავშირდებოდეს გვარი ,,ჭარებლისძე". აღნიშნული გვარი იხსენიება 1532-1534 წწ. დათარიღებულ მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხაში. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამ დროისთვის, სხვა ქონებასთან ერთად, საპატრიარქოს ეკუთვნოდა ჭარებლისძის მამული. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:137) მოგვიანებით, 1559 წელს, სიმონ I სვეტიცხოველს შეწირულობის სიგელი განუახლა და ,,ჭარებელისძე მისითა მამულითა" გადასცა. (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:244) არ გამოვრიცხავთ, რომ ჭარებელისძე-ჭარებლისძე პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ ჩვენთვის უცნობ ფეოდალურ გვარს ჭარებელს უკავშირდებოდეს (ასეთივე წარმომავლობის გვარებია: ფხვენელი, კორინთელი, ქვეშელი) შესაძლოა, ამ გვარის ერთ-ერთი განაყოფი ჭარებლისძე მოგვიანებით, თავისი მამულით ეკლესიის საკუთრება გახდა.

XIX ს-ის 80-იან წლებში ლიახვის ხეობის სარწყავი სისტემა ს. მაჩაბელმა გამოიკვლია, რომლის მიხედვით პატარა ლიახვით ირწყვოდა შემდეგი სოფლები: არბო, დიდი გარეჯვარი, კარბი, ქერე, კულბითი, ტირძნისი, სულ 303 დესეტინა მიწა **(Мачабели, 1887:159).**

პატარა ლიახვის ხეობის ზედა ნაწილი, როგორც ვახუშტი მიუთითებს, შედარებით უმოსავლო ტერიტორია იყო, აქ ძირითადად მესაქონლეობა იყო განვითარებული **(გვრიტიშვილი, 1955:157).** თუმცა, პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლებში მარცვლეული კულტურის მოყვანასაც მისდევდნენ. თუ გადავხედავთ, სოფ. ზღლოთსა და საცხენეთში მცხოვრები გლეხების გადასახადებს, ნათლად ჩანს, რომ ხეობის ამ ნაწილში ქერი და ხორბალიც მოჰყავდათ. პატარა ლიახვის ხეობაში მესაქონლეობა უფრო დაწინაურებული იყო, ამას ხელს უწყობდა აქ არსებული საძოვრები. იოანე ბაგრატიონს ჩამოთვლილი აქვს:

,,საძოვარნი ადგილნი და სათიბნი მინდორნი და მთებნი და სანადირონი ადგილნი სამეფო. ქ. აღმოსავლეთის მხარეს". ამ ადგილებში იგი ასახელებს პატარა ლიახვის მთას, სიათის მთას, ფოხალას მთას **(ბაგრატიონი, 1986:80).**

პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდანვე განვითარებული იყო ხელოსნობის სხვადასხვა დარგი, მათ შორის მეთუნეობა. აღსანიშნავია, რომ სოფელი ვანათი მეთუნეობის ერთ-ერთი კერა იყო **(ზანდუკელი, 1984:156).** აღნიშნული დარგი განვითარებული იყო სოფელ სათიხარშიც, რომლის სახელწოდებაც სწორედ თიხის დამუშავებაზე მიგვანიშნებს **(სოსიაშვილი, 2011:18).** მეთუნეობის გარდა, პატარა ლიახვის ხეობაში განვითარებული იყო სამღებრო საქმეც. ამას ადასტურებს 1723 წლის ერთი საბუთი, საიდანაც ჩანს, რომ ვახტანგ VI სოფ. საცხენეთში მღებარი დასვა. სამღებროს შემოსავალი კი იკორთის მონასტერს დაუნიშნა **(გვასალია, 1983:75).** XIX საუკუნის დასაწყისში სამღებრო არსებობდა ასევე სოფ. არბოშიც, არბოს სამღებროს საიჯარო ფასი წლიურად 12 თუმნით განისაზღვრებოდა **(ბერძენიშვილი, 1967:323).**

X საუკუნის დასაწყისში დიდი ლიახვის ხეობასთან ერთად, პატარა ლიახვის ხეობა ქართლის ფეოდალურ საგვარეულოთა შორის დაწინაურებულ ტბელთა საგვარეულოს ეპყრა. მათი სახლის წარმომადგენელი, ივანე, აფხაზთა მეფეების მოკავშირე გახდა და მათგან სამართავად ქართლი გადაეცა. ის ქართლის „უფლად" იწოდებოდა, ამას ადასტურებს ერედვის წმინდა გიორგი ტაძრის წარწერა, სადაც კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობაზეა საუბარი. **(ლორთქიფანიძე, 1963:255; ქართული წარწერების კორპუსი, 1980:172; მეფისაშვილი, 1944:44-45; ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, 1953:3; იმნაიშვილი, 1970:16; Меписашвили, Цинцадзе, 1975:52-53; მეფისაშვილი, 1955:116-117)** X საუკუნის განმავლობაში დიდი და პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში ტბელთა ფეოდალურ გვართან არაერთი ტაძრის აგებაა დაკავშირებული. ტბელთა ფეოდალური გვარის აღზევებამდე პატარა ლიახვის ხეობაში სხვა ფეოდალური სახლებიც არსებობდნენ. მათ პირველობა პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურებეულმა ტბელებმა ჩამოართვეს. ამას ადასტურებს უკანასკნელ ხანს ჩვენ მიერ სოფელ დიცის ღვთისმშობლის ტაძრის კედლებზე მიკვლეული IX-X საუკუნეების წარწერები **(სოსიაშვილი, 2017ბ:44-87).** მოგვიანებით ტბელთა საგვარეულოს პირველობა ქართლში ყანჩაელთა ფეოდალურმა გვარმა წაართვა. კონსტანტინე აფხაზთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, აფხაზთა სამეფო სახლში არსებული არეულობის დროს ივანე ტბელი აფხაზთა მეფეებს განუდგა და ადარნასე ქართველთა მეფის ბანაკში გადავიდა. ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ აფხა-ზთა მეფემ გიორგიმ ქართლი დაიპყრო და იქ გამგებლად თავისი ძე კონსტანტინე დასვა. კონსტანტინე სამი წელი იყო ქართლის გამგებელი. სამი წლის შემდეგ იგი მამას – გიორგი მეფეს განუდგა. ამ დროს ივანე ტბელი კონსტანტინეს მხარეს იბრძოდა, ხოლო ყან-ჩაელები კონსტანტინეს მოწინააღმდეგენი იყვნენ. ივანე ტბელს, კონსტანტინეს გამეფების შემდეგ, ქართლის ,,უფლობის" დაბრუნების იმედი ჰქონდა. კონსტანტინეს დამარცხების

შემდეგ ტბელებმა სამუდამოდ დაკარგეს ქართლის ,,უფლობის" დაბრუნების პერსპექტივა. ქართლის ,,უფალი" ტბელთა მოწინააღმდეგე ყანჩაელი გახდა. X საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე ქართლის დიდაზნაურებს შორის ყანჩაელთა გვარი დაწინაურდა. მეჯუდის ხეობაში სოფელ ბიეთის ტაძრის სამშენებლო წარწერაში იხსენიება ერისთავთ-ერისთავი იოანე ძე ბაკურ ყანჩაელისა" **(ქართული წარწერების კორპუსი, 1980:193).** არ არის გამორიცხული, რომ ყანჩაელთა საფეოდალოს გავლენა პატარა ლიახვის ხეობის გარკვეულ ნაწილზეც ვრცელდებოდა. როგორც აღინიშნა, დასავლეთ საქართველოსა და შიდა ქართლის მჭიდრო ურთიერთობა ადრე ფეოდალურ ხანაში თვალში საცემი იყო. მეათე საუკუნის დასაწყისში აფხაზთა მეფეები შიდა ქართლის დაკავებას ცდილობდნენ, მათი გავლენა პატარა ლიახვის ხეობაშიც ვრცელდებოდა, ამაზე მეტყველებს ერედვის **(სოსიაშვილი, 2010:261)** წმ. გიორგის ტაძრის შესასვლელში დაცული 906–914 წწ. წარწერა (იხ: ქვემოთ).

***გზები პატარა ლიახვის ხეობაში***

პატარა ლიახვის ხეობა ჩრდილო აღმოსავლეთით ქსნის ხეობას ესაზღვრება, სადაც გვიან ფეოდალურ ხანაში ქსნის საერისთავო არსებობდა. ხეობის ჩრდილო-დასავლეთი მხარე დიდი ლიახვის მხარეს ემეზობლება, სწორედ აქ XV საუკუნიდან ერთ-ერთი ძლიერი სათავადო – სამაჩაბლო იყო ჩამოყალიბებული. პატარა ლიახვის დიდი ნაწილი ისტორიულად ქსნის საერისთავოში შედიოდა, ხოლო ქვემო ნაწილზე არსებულ სოფლებზე არაგვის ერისთავთა გავლენა ვრცელდებოდა. პატარა ლიახვის ხეობაში ძველი დროიდან არაერთი მნიშვნელოვანი გზა გადიოდა, რომელთა მეშვეობითაც არა მარტო შიდა ქართლის სხვადასხვა დასახლებებთან, არამედ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაკავშირებაც იყო შესაძლებელი **(სოსიაშვილი, 2007ა).** ხეობაში გამავალი გზების გაკონტროლების მიზნით, აქ არაერთი ციხე-სიმაგრე არსებობდა, ამ ციხე-სიმაგრეებიდან აღსანიშნავია: ვანათის, ერედვის, ბელოთის და აწრისხევის ციხე-სიმაგრეები. როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასაწყისში პატარა ლიახვის ხეობაში აფხაზთა მეფეებმა მოიკიდეს ფეხი, ხეობის ერთ-ერთ სოფელს ერედვს სწორედ აფხაზთა მეფეები ფლობდნენ, რომლებიც ქვეყანაში პირველობის მოპოვებისთვის იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში მათ არაერთხელ დალაშქრეს ჰერეთის სამეფო, ამას ადასტურებს ერედვის წმ. გიორგის ტაძრის 906 წლის წარწერა, სადაც კონსტანტინე აფხაზთა მეფე იხსენიება. ამ წარწერაზე დაყრდნობით რ. მეფისაშვილი წერს: „ვეჟინიდან წამოსული კონსტანტინე გომბორის უღელტეხილის გავლით ჟინვანში უნდა ჩასულიყო, აქედან შესაძლოა იგი მლეთაში გაემგზავრა, მლეთიდან გადავიდა ქარჩოხის ხეობაში, სადაც ალავერდი იმყოფება, შემდეგ კონსტანტინე პატარა ლიახვის ხეობით, ერედვის გავლით ცხინვალში უნდა ჩასულიყო, ცხინვალიდან კი ბრეძაში გადასულიყო" **(მეფისაშვილი, 1955:114).** პატარა ლიახვის ხეობის ქსნის ხეობასთან დამაკავშირებელი გზა XVIII საუკუნის 70-იან წლებამდე ფუნქციონირებდა. ამ პერიოდში საქართველოში მყოფ გერმანელი მოგზაურს იოჰან ანტონ გიულდენშტედტს სწორედ ამ გზით უსარგებლია, როდესაც ცხინვალიდან ქსნის ხეობაში პატარა ლიახვის ხეობის გზით გადასულა. გიულდენშტედტს ამ გზის მარშრუტი ასე აქვს აღწერილი: ,,14 სექტემბერს განვაგრძე გზა დიდ ლიახვზე[მდებარე] ქრცხინვალიდან ლარგვისის მონასტრისაკენ, ზევით ქსანზე, თითქმის მთლად გავლილი გზით, რომელიც დანიშნულების ადგილისაკენ უმეტესად ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიდის, და 1-1/2 საათში აღმოსავლეთით შეგვხდა ციხე ფრისი, იქიდან ½ საათში აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით [არის] პატარა ერედვი, შემდეგ კი ერედვის ციხე. იქიდან ჩრდილოეთით 1 საათში[შეგვხვდა]ნავათი (ვანათი-გ.ს.) და ¾ საათში-საცხენეთი. დღევანდელი დღე აქ გავატარეთ. 15 სექტემბერი. ¾ საათში გავიარეთ ჯერ ელტურა, შემდეგ ბელოთი და იქიდან ¾ საათში-პატარა ფოტნისა. მისგან 5/4 საათში გზაზე რიგ-რიგობით შეგვხდა ზონკარი, წინუბანი და აწერისხევი. ½ საათში მდინარე კობაისი და ¼ საათში კი მდინარე პატარა ლიახვი[გავიარეთ].

დღევანდელი გზა მიდიოდა ჩრდილოეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთით, ამ მდინარიდან გზა წავიდა აღმოსავლეთით აღმართ და 1 საათში ვიყავით წიფორში. 16 სექტემბერი. წიფორიდან [ვიარეთ] აღმოსავლეთით [და] ¾ საათში [მივედით] ჯოვახთამდე და შემდეგ 1 საათში მდინარე მეჯუდის ფონამდე. იქიდან აღმოსავლეთით 1 საათში [შეგვხდა] კოლხიონი; მისგან 1/2 საათში [მივედით] ცხრა წყაროებამდე და ამავე სახელის სოფელში. შემდეგ აღმოსავლეთით 1 საათში [მივაღწიეთ] კორას. იქიდან 1/2 ½ საათში მდინარე ჭურტას –ხევი შეგვხვდა, რომელსაც გავყევით და ჯერ უპეთი და სხვა სოფლები [გავიარეთ] და 1 საათზე მეტ ხანში მშვიდობით მივედი ჩემს დანიშნულების ადგილზე, ლარგვისის მონასტერში,[რომელიც მდებარეობს] ჭურთას შესართავზე, ქსნის მარჯვენა ნაპირზე" **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:179).** გერმანელი მოგზაურის მარშრუტი ცხინვალიდან ლარგვისის მონასტრამდე შეგვიძლია ასე წარმოვიდგინოთ: ცხინვალი - ფრისი - ერედვი - ვანათი - საცხენეთი - ელტურა - ბელოთი - ფოტნისის ხეობა - ზონკარი - წინუბანი - აწერისხევი - მდ. კობაისის ხეობა - პატარა ლიახვის გადაკვეთა - ჩრდილო აღმოსავლეთით - წიფორი - ჯოვახთი მდ. მეჯუდას ფონი - კოლხიონი - ცხრაწყარო - კორა-ჭურთას ხევი - უპეთი (რამდენიმე პატარა სოფელი, რომელთაც არ ასახელებს) - ლარგვისის მონასტერი **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:179).**

პატარა ლიახვის ხეობიდან გზა გადადიოდა ასევე არაგვის ხეობაში. XIX საუკუნის 80-იან წლებში გაზეთ "დროების" კორესპონდენტი გ. ლიახველი (ჩოჩიშვილი) პატარა ლიახვის სოფელ ვანათში სტეფანწმინდიდან ჩამოსულა **(ლიახველი, 1884:2).** როგორც ჩანს, ვანათს ხევთან დამაკავშირებელი გზაც ჰქონდა, რომელიც XIX საუკუნის 80-იან წლებშიც ფუნქციონირებდა.

პატარა ლიახვის ხეობიდან ერთ-ერთი გზა რაჭის გავლით იმერეთშიც გადადიოდა. ვანათიდან ამ გზით უკავშირდებოდნენ ჯავას, ჯავიდან კვაისას გავლით შესაძლებელი იყო რაჭაში ჩასვლა, რაჭიდან კი იმერეთში **(მაკალათია, 1971:57).** იმერეთთან დამაკავშირებელი გზით XVIII საუკუნეში სამეფო ხელისუფლებაც სარგებლობდა, ამ გზით ჩამოვიდა პატარა ლიახვის ხეობაში იმერეთის მეფე სოლომონ II, როდესაც ის სოფელ ვანათში მთავარმართებელ ტორმასოვს შეხვდა, იმერეთთან დამაკავშირებელ გზას იყენებდა იულონ ბატონიშვილიც. ცნობილია, რომ ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1777 წ) პატარა ლიახვის ხეობა ერკლე II-მ თავის ძეს იულონს უბოძა, იულონს რეზიდენცია სოფელ ბელოთში ჰქონდა. რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ მებრძოლი იულონ ერეკლეს ძე პატარა ლიახვის გზით ახერხებდა იმერეთში გახიზვნას. **(ქართველიშვილი, 1952:86).**

როგორც იულონ ბატონიშვილის კარის მწიგნობარი იოანე ქართველიშვილი გადმოგვცემს: ,,აქ ჯარიაშენს დგომაში ორჯერ და სამჯერ ქალაქიდამ დაჭეშმარიტებით ჰამბავი მოგვივიდა, რომ დავით მოდის (საუბარია დავით ბატონიშვილზე _ გიორგი XII ძეზე _ გ.ს.) რუსის ჯარით თქვენზედაო. ამ მიზეზით, რადგან რუსები მოჰყვებოდნენ, თებერვლის 3(6) მეფის ძე იულონ ფამილიით აიყარა ბელოთიდამ და იმერეთისაკენ წამოსასველად გამოემგზავრა". **(ქართველიშვილი, 1952, გვ. 86).**

იოანე ქართველიშვილი თავის თხზულების სხვა ადგილას ახსენებს ბელოთიდან იმერეთში გადასასვლელ გზას: ,,იმერეთს გავიქეცით ბელოთით და ჩემი ხიზანი ქ. ცხინვალს დარჩა 1801 წელს, თებერვლის ხ-სა დღესა" **(ქართველიშვილი, 1952, გვ. 95).** პატარა ლიახვის ხეობიდან გზის ერთი მონაკვეთი უკავშირდებოდა ქ. ცხინვალს.

მისივე ცნობით:,,ბელოთიდამ ცხინვალს წავედით ხიზნით 1799 წელსა, დეკემბრის 29 დღესა" **(ქართველიშვილი, 1952, გვ. 95).**

როგორც ცნობილია, შუასაუკუნეებში შიდა ქართლის ტერიტორიაზე არაერთი მნიშვნელოვანი გზა ფუნქციონირებდა, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელი იყო

ამიერკავკასიაში გადასვლაც. მათ შორის აღსანიშნავია “აჩაბეთის გზა”, “დვალეთის გზა” და სხვ. **(სოსიაშვილი, 2005ბ:117).**

ჩრდილოეთ კავკასიას საქართველოსთან აკავშირებდა სხვა გზებიც. ამათგან ერთ-ერთი უკავშირდებოდა სოფ. ვანათს. სბის გადმოსასვლელით, ზახას გავლით, გზა თრუსოს ხეობაში ჩადიოდა და სოფ კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდებოდა. ზახადან აღნიშნული გზის ერთი განშტოება სოფელ ედისს უკავშირდებოდა, ედისიდან კი პატარა ლიახვის ხეობას, კერძოდ კი, სოფ. ვანათს **(თოგოშვილი, 1969:50).** გ. თოგოშვილი წერს: „სბის გადმოსავლითაც გადმოდის გზა ზახადან თრუსოს ხეობაში და სოფ. კობთან საქართველოს სამხედრო გზას უერთდება. ამავე გადმოსავლით ზახადან მიემართება სხვა გზაც, რომელიც სოფ. ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფა. ერთი განშტოება პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდება, მეორე-ერმანდონის ხეობით და ყელის ტბით, ჟამურსა და ქსნის ხეობას უერთდება. მესამე კი ზრიტათის, გუდისის წყლის და ჭიმავდონის ხეობებით როის გზას უერთდება“ **(თოგოშვილი, 1969:50).** ამ გზას ვანათის ციხე აკონტროლებდა. როგორც მივუთითებდით, სბის გადმოსასვლელიდან გზა ზახაში ჩადიოდა, რომელიც ედისთან რამდენიმე განშტოებად იყოფოდა. გზის ერთი ნაწილი პატარა ლიახვის ხეობით ვანათს და ქართლის სოფლებს უკავშირდებოდა. შესაძლებელია, XVI საუკუნით დათარიღებულ დოკუმენტში, რომლის თანახმად, ქართლის მეფემ დავითმა სვეტიცხოველს დისევში არსებული მამულები უბოძა, სწორედ გზის ეს მონაკვეთი იგულისხმებოდეს: ,,სათივის წვერამდისინ საოსო გასაყარ გზამდისინ.” (იხ. ქვემოთ), საიდანაც პატარა ლიახვის ხეობის მარჯვენა ნაპირზე არსებულ სოფლებთან, მათ შორის დისევთან იყო შესაძლებელი დაკავშირება. **(სოსიაშვილი,2018ა:79).**

დასავლეთ საქართველოდან გზა მოემართებოდა პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ ვანათთან დამაკავშირებელი გზა, ს. მაკალათიას განმარტებით, შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: ონი-კვაისა-ჯავა-ცხინვალი და ვანათი. **(მაკალათია, 1971:57)**

ძველ დროშივე არსებობდა პატარა ლიახვის ხეობაში გზა, რომელიც ვანათიდან აწრისხევში მიემართებოდა და ამ გზით შესაძლებელი იყო ქსნის ხეობაში გადასვლა. ვანათელთა გადმოცემით, აწრისხევში უწინ სავაჭრო ცენტრიც ყოფილა და, ამდენად, აღნიშნულ გზას სავაჭრო-ეკონომიკური დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი აზრით, ამ გზით ისარგებლა სწორედ XVIII საუკუნის 70-იან წლებში საქართველოში მყოფმა გერმანელმა მოგზაურმა იოჰან ანტონ გიულდენშტედტმა, რომელიც ცხინვალიდან პატარა ლიახვის ხეობის გავლით ქსნის ხეობაში გადავიდა **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, 1962:177).** ,,დასტურლამალში” დაცული ცნობიდან ვიგებთ, პატარა ლიახვის ხეობაში კიდევ ერთი ე. წ. ,,ფანჯების” გზა გადიოდა, სამეფო ხელისუფლებისაგან ვანათელებს ევალებოდათ გზის მოვლა-პატრონობა. ხსენებულ ძეგლში აღნიშნულია: ,,უნდა უთაონ თულაშვილებმა - თაკეელთ, ღვეველთ, დღელთ, ვანათელთ და თულაანთ მამულმა - ფანჯების გზა შეინახონ”. **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ა:532).**

გაურკვეველია, სად მიემართებოდა ფანჯების გზა. შესაძლებელია, სწორედ ეს იყო ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელი.

პატარა ლიახვის ხეობიდან გზა მიემართებოდა ასევე ცხინვალში **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ა:95).** გვიანფეოდალურ პერიოდში პატარა ლიახვის ხეობის სოფლები, გადანაწილებული იყო სხვადასხვა საფეოდალოებს შორის. მისი ჩრდილო-დასავლეთი მხარე ქსნის ხეობას ემიჯნებოდა. პატარა ლიახვის ხეობის ეს ნაწილი ქსნის საერისთავოში შედიოდა. ამას ხელი შეუწყო ქსნის ერისთავებისადმი საქართველოს სამეფო კარის კეთილგანწყობამ, კერძოდ, XIV ს-ის დასაწყისში ვახტანგ III (1302-1308) შალვა ქვენიფნეველს ქსნის ხეობის სხვა სოფლებთან ერთად, პატარა ლიახვის ხეობაში არსებული ერთ-ერთი სოფელი – აწრისხევი უწყალობა **(მესხია, 1954:348).**

XV-XVIII ს.ს. ქსნის ერისთავებმა კიდევ უფრო გააფართოვეს თავიანთი საფეოდალოს საზღვრები. როგორც პროფ. ჯ. გვასალია განმარტავს: ,,XV-XVIII ს.ს. ქსნის ერისთავთა ექსპანსია მიმართულია შიდა ქართლის ჩრდილო-დასავლეთის, დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დიდ ლიახვზე იერთებენ მის სათავეებს - მაღრან-დვალეთს (ტერმინი გვიანშუასაკუნეების ხანისაა), პატარა ლიახვზე სავახტანგოს ნაწილს და გვერდისძირს". (გვასალია, 1983, გვ. 26)

ვანათის ჩათვლით პატარა ლიახვის ხეობის ერთ ნაწილს გვიანფეოდალურ პერიოდამდე ჰქონდა შერჩენილი თავისი ძველი მეპატრონის ვახტანგ III-ის სახელი- "სავახტანგო". გვერდისძირი პატარა ლიახვს და მდ. მეჯუდას შუა წელს შორის მდებარე ტერიტორიას აღნიშნავდა. (გვასალია, 1983, გვ. 25) ქსნის ერისთავებმა პატარა ლიახვის ხეობაში არაერთი ციხე-სიმაგრე ააშენეს. მათ ერთ-ერთ სოფელში – ბელოთში საკუთარი სასახლე-რეზიდენციაც ჰქონდათ.

იოანე ბაგრატიონს თავის თხზულებაში: ,,ქართლ-კახეთის აღწერა", ცალკე აქვს გამოყოფილი ქსნის საერისთაოში შემავალი პატარა ლიახვის ხეობის სოფლები: ,,ქ. გვერდისძირზედ, რომელიც ქსნის საერისთაოს მიეწერებოდა და ესე ადგილნი და სოფელნი მეფის ძეს იულონს ეპყრა, არიან შემდგომნი ესე... პატარა ლიახვის ხეობაზედ მცხოვრებნი ოსნი და შიგ ნახევრად ქართველნიცა:

ქ. საცხენისი, მოსახლე
ქ. ედემქალაქი, მოსახლე
ქ. ბელოთი, მოსახლე
ქ. აწრისხევი, მოსახლე
ქ. ოსის ზონკარი, მოსახლე
ქ. შუაცხვირი, მოსახლე
ქ. სიათა, მოსახლე
ქ. გნასური, მოსახლე
ქ. ინაური მოსახლე
ქ. ჩაბარუხეთი მოსახლე
ქ. წიფორი მოსახლე
ქ. შამშიანი მოსახლე
ქ. ქნოღო მოსახლე
ქ. მაღრან-დვალეთი სოფელი **(ბაგრატიონი, 1986:38).**

როგორც ვხედავთ, ქსნის ერისთავთა მამულების ჩამონათვალში, იოანე ბაგრატიონი მაღრან-დვალეთსაც იხსენიებს. მართალია, მაღრან-დვალეთი დიდი ლიახვის ხეობის სათავეს მოიცავდა, მაგრამ ქსნის ერისთავები აქ რამდენიმე სოფელს ფლობდნენ. **(გვასალია, 1983:75)** პატარა ლიახვის ხეობას გვიანფეოდალურ პერიოდში ქსნის ერისთავების მიერ დანიშნული მოურავი განაგებდა. მოურავობა აზნაურ ფურცელაძეებს ჰქონდათ ბოძებული **(გვრიტიშვილი, 1955:241).**

ერთ-ერთ საბუთში, ქსნის ერისთავი _ გიორგი ყულარაღასი აღნიშნავს: ,,ლიახვი, ფურცელაძეების სახელო. რაც არის მე მეჭიროს: ოსი და ქართველი, გაღმა და გამოღმა; ხადურის ედიშერის ალაგის გარდა და ედიშერის გარდა, იმის ზეით _ თავქნოღომდის; გაღმა და გამოღმა ლიახვი; ფოტრისა, რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა; დვალურა სულ მთლივ; ვაკეში მარანა, აზნაური და გლეხი სულ მთვლივ" **(გვრიტიშვილი, 1955:272).** მოურავი ფურცელაძეები პატარა ლიახვის ხეობის ერთ-ერთ სოფელში _ მერეთში სახლობდნენ. ქსნის საერისთავო სამხრეთ-დასავლეთით სოფელ ტყვიავთან არაგვის საერისთავოს ესაზღვრებოდა, თუმცა არაგვის ერისთავების გავლენა პატარა ლიახვის ხეობაზე, მის ქვემო წელზე არსებული რამდენიმე სოფლით არ შემოიფარგლებოდა, ისინი ფლობდნენ სოფ. გერსა და გერისთავს, ასევე არზოს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარატიული წყაროების მიხედვით, არაგვის

ერისთავები წარმოშობით პატარა ლიახვის ხეობიდან, კერძოდ, სოფ. ვანათიდან იყვნენ **(სოსიაშვილი, 2011:57).** ქსნისა და არაგვის ერისთავების გარდა, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში შუასაუკუნეებში ყმა-გლეხებს და მამულს სხვა ფეოდალებიც ფლობდნენ, მაგ. საამილახვროს საზღვარი სოფ. ძევერასთან გადიოდა. თუმცა, ამილახვრებს პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ჰყავდათ ყმები, მათ შორის კარბსა და ვანათში **(სოსიაშვილი, 2011:77; ბაგრატიონი, 1986:37-38).** არაგვის ერისთავების გავლენაზე უნდა მეტყველებდეს ის ფაქტიც, რომ XIX საუკუნის I ნახევარში ვანათში ყმა ჰყავდა ანანურის სალოცავს. **(თოფჩიშვილი, 1997:153).**

საარაგვო სოფლების აღწერისას იოანე ბაგრატიონი თავის თხზულებაში მიუთითებს პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელს: ,,ქ. საარაგო სოფლები, რომელიც მიეწერება და მეზობელნი არიან ამა ლიახვის ხეობისა არიან ესენი:

ქ. საარაგო შინდისი, მოსახლე, ქ. ტირძნისი მოსახლე,

ქ. ვანათი მოსახლე,

ქ. ოსის სოფელი მარილეთი, მოსახლე,

ქ. შურიული, მოსახლე,

ქ. ინაური მოსახლე,

ქ. ყლარცვი მოსახლე,

ქ. მეფარეთი მოსახლე,

ქ. გერი, მოსახლე, ესეც იულონს თ-ს ეყიდა. ახლა ერისთავიანთ უჭირავთ **(ბაგრატიონი, 1986:38).**

პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში ყმა-მამულს ფავლენიშვილებიც ფლობდნენ. მათი საგვარეულოს ერთ-ერთი შტო სოფ. ერედვში სახლობდა, ფავლენიშვილებს აქ ციხე-სიმაგრეც ჰქონდათ. აქვე იყო მათი საგვარეულო სამარხი. ერედვის გარდა, ფავლენიშვილებს ყმები ჰყავდათ სოფ. ვანათშიც (სოსიაშვილი, 2005ა, გვ. 32), აგრეთვე სოფ. ქორდშიც (ჟორდანია, 1897, გვ. 441).

პატარა ლიახვის ხეობის ზოგიერთ სოფელში ყმები ჰყავდათ ასევე, მაჩაბლებს. (სოსიაშვილი, 2010ა, გვ. 35) სხვადასხვა ფეოდალურ საგვარეულოთა გარდა, პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში ყმა-მამულს საქართველოს საპატრიარქოც ფლობდა. ამ სოფლებიდან უნდა დავასახელოთ: ქორდი, ვანათი, სათიხარი, ერედვი. (სოსიაშვილი, 2016გ, გვ. 320) აღსანიშნავია, ის ფაქტი, პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში მამულებს ფლობდნენ უცხოეთში არსებული ქრისტიანული ეკლესია მონასტრები. ბელოთთან ახლოს, პატარა ლიახვის ერთ-ერთ შენაკად ფოტრისას ნაპირზე თავისი მეტოქი, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესია ჰქონდა ათონის მთაზე არსებულ ვატოპედის ბერძნულ მონასტერს, რომელიც მდ. პატარა ლიახვის დინებამ დაანგრია, ქართლის დედოფალმა მარიამმა XVII საუკუნის II ნახევარში აქ ახალი ტაძარიააგო და დეკანოზად ცხინვალში მცხოვრები მახნიაშვილი **დანიშნა. (ქართული სამართლის ძეგლები, 1974:128)**

პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფელი თერგვისი მფლობელობაში ჰქონდა იერსულიმის ჯვრის მონასტერს. წმინდა მიწაზე არსებული ქართული სასულიერო ცენტრისთვის აღნიშნული სოფელი ლუარსაბ II 1624 წელს შეუწირავს. **(სოსიაშვილი, 2016ბ:150).**

XVIII საუკუნის ბოლოს, ქსნის საერისთავოს გაუქმების შემდეგ, პატარა ლიახვის ხეობა ერეკლე მეორემ თავის ძეს – იულონ ბატონიშვილს გადასცა, თუმცა იულონ ბატონიშვილის რუსეთში გადასახლების შემდეგ დავით გიორგის ძე ბატონიშვილმა პატარა ლიახვის ხეობის სოფლები კვლავ ქსნის ერისთავებს უბოძა.

***პატარა ლიახვის ხეობის ნასოფლარები***

დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მიხედვით, ლიახვის ხეობაში ისტორიულად არაერთი სოფელი არსებობდა. ამ სოფლებიდან, ზოგიერთის სახელი მხოლოდ საისტორიო წყაროებმა შემოგვინახა **(სოსიაშვილი, 2016დ:139-158).**

დოკუმენტებში დაცული ცნობების შეწავლის შედეგად, შესაძლებელია ლიახვის ხეობის რამდენიმე ნასოფლარის მდებარეობის დადგენა. ერთ-ერთი ასეთი ნასოფლარი **,,ქუაბნი"** გვხვდება 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში, სადაც დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში არსებული რამდენიმე სოფელი იხსენიება. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,გორს რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან, კუალად სოფელი ზერტი, თვსითა მამულით, ნასოფლარი სათიბი, სოფელი ქვეში, სოფელი დისევი, ფლავი, სოფელი ჩხრიკეთი, სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი, სოფელი ქუაბნი, სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი, ერედს გილაძენი, ვირშას მონასტერი მთავარანგელოზისა-თვსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია, მამულითა" **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ბ:177).**[8]

ჩვენი აზრით, დოკუმენტში მოხსენიებული **,,ქვაბნი"** პატარა ლიახვის ზეობის ზემო წელზე მდებარეობდა. იგი, სავარაუდოდ, სოფელ ვანათს ესაზღვრებოდა. ვახუშტი ბატონიშვილი ვანათის აღწერისას აღნიშნავს: ,,ვანათის ციხე შემუსვრილი განაახლა შანშემ. შემუსვრეს კუალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩრდილოთ არს კლდე მაღალი, ქარაფოვანი, მჭურეტი ლიახვსა, და მას შინა ქუაბნი გამოკვეთილნი მრავალნი" **(ბატონიშვილი, 1973:369).** არ არის გამორიცხული, რომ ,,ქუაბნი" სოფელს თავდაპირველად ამ გამოქვაბულების გამო ერქვა. სოფელი ქვაბთა იხსენიება 1720 წელს შედგენილ სვეტიცხოვლისა და კათალიკოსის ყმების და მამულის ნუსხაში, სადაც აღნიშნულია: ,,ქ. ქვაბთ(?)სამი" **(ბერძენიშვილი, 1940:184, #256).** აკად. ნ. ბერძენიშვილმა, სოფლის სახელწოდებას, რაკი ის გაურკვევლად ეწერა ნუსხაში, კითხვის ნიშანი დაუსვა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ნუსხაში ,,ქვაბთა" იხსენიება სოფელ ერედვის შემდეგ. ჩვენი აზრით, 1720 წლის ნუსხაში მოხსენიებული ,,ქვაბთა" და 1392 წლის ქართლ-კახეთ-მესხეთის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში მოხსენიებული სოფელი ,,ქუაბნი" ერთი და იგივე სოფელი უნდა იყოს. აღნიშნულ სოფელს იხსენიებს სეხნია ჩხეიძე. მისი გადმოცემით, 1731 წელს, თეიმურაზ II ქართველ-ოსმალთა ჯარით შანშე ქსნის ერისთავის სამფლობელო მოარბია, ხოლო შემდეგ სამაჩაბლოში გადავიდა და აიღო მუგუთისა და სვერის ციხეები, საცხენისი, ქვაბები **(ჩუბინაშვილი, 1854:335).** სხვადასხვა წყაროებში მოხსენიებული ტოპონიმები: ,,ქვაბთა", ,,ქუაბნი", ,,ქვაბები", პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფლის აღმნიშვნელი სახელებია.

,,ქვაბთა" იხსენიება 1894 წელს გაზეთ ,,ივერიაში" გამოქვეყნებულ ვ. მძინარაშვილის კორესპონდენციაშიც. წერილში ვკითხულობთ: ,,ეს ერთი თვე მიდის თქვენი მტერი იყოს ისე შეწუხებული და გაჭირვებული, როგორც ჩვენ (იგულისხმება სოფ. დიცის მოსახლეობა - გ.ს.) ვართ, ამ სოფლის მცხოვრებლები, ცალკე შიმშილი გვაწუხებს და ცალკე წყლის სურვილი. განათუ საჭმელი გვაკლია, ან სასმელი, წყალი არა გვაქვს არც დასალევად და არც საჭმლისათვის სახმარად. ჩვენი სოფლის წყალს უწოდებენ დიცურას და შიგ შუა სოფელში მოდის. ამ წყლის მეტი სხვა არც დასალევი სადმე წყალი გვაქვს მდინარე და არც წყარო. მხოლოდ ხუთ ვერსზედ თუ წავალთ, შეგვიძლია პატარა ლიახვიდგან წყალი ამოვიტანოთ, მაგრამ დიდად ძნელია ამ სიშორიდგან წყლის ზიდვა. დიცურა შიგ შუა სოფელში აბრუნებს ამავე სოფელში ოთხ წისქვილს, რომლითაც მთელი სოფელი სარგებლობს და ამ საფქვავსა ჰფქვავს. წარმოიდგინეთ ეს ერთი თვე სრულდება, რაც ამ წყალს გვიწყვეტენ სათავეში ხუთი ვერსის მანძილზედ, ქვაფთის ჭალასთან; რამდენჯერ იყო შემთხვევა, როდესაც დაწყვეტენ წყალსა და ამ სოფლის გლეხნი

---

8 საკათალიკოსო მამულების ნუსხაში მოხსენიებული სოფლების ერთი ნაწილი დღეის მდგომარეობით უკუპირებულია 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად. ასეთია მაგ. პატარა ლიახვის ხეობაში არსებული რამდენიმე სოფელი: დისევი, სათიხარი, ვანათი, ერედვი, ეს უკანასკნელი დოკუმენტში იხსენიება ერედის სახელწოდებით. იხ. (სოსიაშვილი, 2011:109; შიდა ქართლი, 2002:94).

წავიდოდნენ და ისევ გადმოუგდებდნენ ხოლმე, მაგრამ როდემდის უნდა იყოს ასე? საჭიროა რომ ჩვენმა მამასახლისმა ყურადღება მიაქციოს როგორმე ამ საქმეს და ხალხი დაიხსნას გაჭირვებისაგან" (**,,ივერია", 1894:2).** წერილიდან ირკვევა, რო ქვაფთა (ქვაფთის ჭალა) მდებარეობდა მდინარე დიცურის სათავესთან.[9] სოფელ დიციდან ხუთი ვერსის მანძილზე, რაც, ჩვენი აზრით, სწორედ ვანათის მისადგომებთან უნდა ყოფილიყო. **(,,ივერია", 1894:2; სოსიაშვილი, 2010ა:12; ჩუბინაშვილი, 1854:335).**

საკათალიკოსო მამულების ნუსხაში იხსენიება ,,ვირშას მთავარანგელოზის მონასტერი თვისითა შესავლითა". დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ: პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობდა სოფელი **ვირშა,** სადაც ვირშას მონასტერი არსებობდა. აღსანიშნავია, რომ ვირშას მონასტერი თავისი შესავალი მამულებით XV საუკუნის I ნახევრის დოკუმენტშიც ჩანს. საქართველოს მეფემ ალექსანდრე I დიდმა ვირშის მთა და მონასტერი თავისი კუთვნილი სოფლებით განახლებულ სვეტიცხოველს უწყალობა. სოფელ ვირშას ზუსტი ლოკალიზაცია ძნელია, თუმცა, ის ჩვენი აზრით, მდ. პატარა ლიახვის მარცხენა ნაპირზე, მთის ფერდობზე უნდა ყოფილიყო, სავარაუდოდ, სოფელ კოშკასთან და კულბითთან ახლოს.

**ბადანი (იგივე ბადაანი)** ნიკოლოზ კათალიკოზის მიერ სვეტიცხოვლისადმი ბოძებულ სიგელში, რომელიც 1687 წლით არის დათარიღებული, ჩამოთვლილია კათალიკოსის მიერ სვეტიცხოვლისადმი გაწეული ღვაწლი, სადაც აღნიშნულია: „კიდევე ნასოფლარი ბადანი ავაშენე" **(ჩუბინაშვილი, 1854:592).** „ბადაანის"-არსებობა უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტითაც დასტურდება. ანტონ I კათალიკოსმა გიორგი გედევანიშვილს უბოძა ,,ოსების მოურაობა ბადაანისა და ხოდელისა". ვირშის მონასტერს ეკუთვნოდა ,,შესავალნი ქორდი და ბადასშვილნი", ანუ ბადასშვილების მამული (მცირე სოფელი),[10] სწორედ აქ ცხოვრობდნენ ვირშის მთავარანგელოზის „მეგანძურნი" ჯინჯიხასძე-ბადასშვილნი, რომლებიც მათი სოფლის განადგურების შემდეგ ქორდში გადმოსახლდნენ. მოგვიანებით ნიკოლოზ კათალიკოსმა "ბადანი" იგივე ბადაანი ხელახლა მოაშენა და სვეტიცხოველს გადასცა. უფრო გვიან, XVIII საუკუნეში აქ ჩრდილოეთიდან ჩამოსული ოსები დაასახლეს, რომლებიც საეკლესიო ყმები გახდნენ. ანტონ კათალიკოსმა მათი მოურაობა გიორგი გედევანიშვილს უბოძა. ჩვენი აზრით, ბადაანი პატარა ლიახვის ხეობაში ქორდსა და ვირშას შორის არსებული პატარა სოფელი იყო.

**ბაკურისუბანი**-იხსენიება 1348 წელს ანდრონიკე მეფის მიერ წითლოსან ქვენიფნეველისადმი ბოძებულ წყალობის სიგელში: ,,ქ. სახელითა ღმრთისაითა, ანდრონიკესაგან ბაგრატუნიანის, ნებითა ღმრთისითა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთ მეფისა, შარშვანშე და შანშა და ყოვლის აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ხელმწიფედ მოპყრობელისა; მოვიდა ჩუენს წინაშე ქუენიფნეველი, ლარგ[ვ]ელისა შვილი წითლოსან და გუეჯა და მოგ[უ]ახსენა, რაითამცა ქართლს მუხუსძისა სალარისეულნი სოფელნი: კარბაი და გარეჯარ ბაკურისუბანი მისთუსისმცა მიგუებოძნეს. დაგუეაჯა ღმერთმან და ვისმინეთ აჯაი ქუენიფნეველისაი წითლოსანისი, ვინაითგან მათის ცოლის ძმის მუხუსძეს სალარესცა მისთუის და მისთა დისწულთათუის ეანდერძა მისი მამული, ჩუენცა შევიწყალეთ და მიუბოძენით სოფელნი: კარბაი და

[9] დიცურა პატარა ლიახვის ერთ ტოტს ერქვა და ის სათავეს სოფელ არბოს ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს მდ. პატარა ლიახვიდან იღებდა, როგორც ჩანს, ქვაფთის ჭალა სოფელ არბოსა და ვანათს შორის არსებულ პატარა ლიახვის ნაპირს ერქვა, არ არის გამორიცხული აქვე ყოფილიყო აღნიშნული დასახელების სოფელიც.

[10] შესაძლოა ბადასშვილებს სწორედ ვირშის მთავარანგელოზის ტაძრის წინაშე არსებული დამსახურების გამო გადაეცათ მამული მონასტერთან ახლოს. საგანძურის მცველები მონასტრიდან შორს ვერ იცხოვრებდნენ.

გარეჯარ ბაკურისუბანი, მისითა სამართლიანითა მძღურითა მკ[უ]იდრად, სამამულოდ, შეუვ[ა]ლად და შეუცვალებლად" **(ქართული სამართლის ძეგლები, 1965:98-99).** დოკუმენტში ნახსენები სოფლები პატარა ლიახვის ხეობაში მდებარეობს. აქედან, კარბი და გარეჯვარი დღესაც არსებობს (გარეჯვარი ორ ნაწილად არის გაყოფილი: დიდ და პატარა გარეჯვრად). ზუსტად ძნელია, ბაკურისუბნის ლოკალიზება. არ არის გამორიცხული, რომ გარეჯვარი ძველ დროშიც რამდენიმე ნაწილად იყოფოდა და მის ერთ ნაწილს ბაკურის უბანი ერქვა. 1382 წლით არის დათარიღებული ოქონის ხატისადმი ბოძებულ სიგელში, რომლითაც დავით მეფემ ოქონის ხატს თამარ მეფის დროს ბოძებული მამულების წყალობა განუახლა, მოხსენიებულია: გარეჯვარს ლომსათუბანი: ,,ზემო რეხას ათი საკუამლო მისითა რუთა, მამულითა, მიწითა, საწისქვილოთა, სასაფლავოთა, სამძღვრითა და სამნებითა ყოველის კაცისაგან მოუდევარი და შემოუცილებელი; აგრეთვე გარეჯვარს ლომსათუბანი მისითა წყლითა, რუთა, სამძღურითა და სამნითა ამით: თამარ დედოფლის რუმდის ქუემოთ, რეხის ფშნამდინ, გვერდით ხელთუბნის სამნამდის, მარჯუნით თორტიზის ფშნამდინ" **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2013:51).** დოკუმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლომსათუბანი გარეჯვრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში მდებარეობდა და ის თორტიზას, ხელთუბანს და რეხას ესაზღვრებოდა. ზემოთ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვივარაუდოთ: ბაკურისუბანი პატარა სოფელი (შესაძლებელია უბანიც) შედიოდა დიდი სოფლის-გარეჯუარის შემადგენლობაში. გარეჯვარში სხვა პატარა დასახლებაც იყო, რომელიც ლომსათუბნის სახელწოდებით გვხვდება 1382 წლის დოკუმენტში. ჩვენი აზრით, გარეჯუარში შემავალი პატარა სოფლები: ბაკურისუბანი, ლომსათუბანი გახდა საფუძველი, რომ მოგვიანებით სოფელი დიდ და პატარა გარეჯვრად გაიყო.

**ტყიურა** პატარა ლიახვის ხეობის ქვემო წელზე არსებულ სოფელი იყო. ამას ადასტურებს 1716-1724 წ.წ. შედგენილი განაჩენი ვახტანგ VI-ისა თუმანიშვილებსა და ქარუმიძეებს შორის ხევთუბნისა და თორტიზის რუზე დავის გამო. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,მეფეს როსტომს შეეწყალა, თვითან მიბძანებულიყო რუ და სათაო მოესაზრა, ქვეყნისათვი[ს] მუშა შეეწერა, დიდის ლიახვიდამ და პატარას ლიახვიდამ, ორითგანვე, სათავე აერო და წყალი წამოეყუამა და ერთ რუდ შეეყარა და მარანა გაეთარხნებინა, მერუეთ დაეყენებინა და ეს რუ და წყალი ყოვლის კაცის უცილობლად თუმანიშვილებისთვის ხევთუბნის სარწყავად ებოძებინა. ძევერელთა, ტყიურელთა, კარალელთა, ორთავ გარეჯურელთა და თორტელთათვინ თავეთი რუები ზოგი ზედ გარდაეტარებინა და ზოგი ქვეშ გაეძვურინებინა" **(ზერძენიშვილი, 1953:20).** სოფელი ტყიურა, თუ დოკუმენტში სოფლების ჩამონათვალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ძევერას და კარალეთს შორის უნდა ყოფილიყო. შემდეგ იგი ნასოფლარად იქცა, ან სოფელ კარალეთს შეუერთდა და როგორც ცალკე სოფელმა არსებობა შეწყვიტა. სოფელ ტყიურეთს იხსენიებს იოანე ბაგრატიონი: ,,ქ. ჩმართა მოსახლე, ქ. ზერტი, მოსახლე, ქ. ტყიურეთი, მოსახლე" **(ბაგრატიონი, 1986: 40).**[11] ჩვენი აზრით, ტყიურა და ტყიურეთი ერთი და იგივე სოფელი იყო. აღნიშნული სოფელი უფრო გვიანდელი პერიოდის დოკუმენტურ მასალებში აღარ გხვდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ ის XIX საუკუნის დასაწყისში (როგორც აღვნიშნეთ აღნიშნული სოფელი, როგორც ,,მოსახლე", მოხსენიებულია იოანე ბაგრატიონის თხზულებაში, რომელიც 1794-1799 წ.წ შეიქმნა) ნასოფლარად გადაიქცა. პატარა ლიახვის ქვემო წელზე, სოფელ შერთულთა, იქ სადაც მდ. დიდი ლიახვი პატარა ლიახვს უერთდება, არსებობდა სოფელი **ძველი ძევერა.** ეს დასტურდება 1582 წლით დათარიღებული ,,წყალობის წიგნით სვიმონ მეფისა უგანაძეებისადმი, სადაც

[11] აღსანიშნავია, რომ XVIII საუკუნის II ნახევარში ფრონეს ხეობაში არსებობდა სოფელი ტყის უბანი, სადაც ყმები ჰყავდათ ფალავანდიშვილებს. იხ. **(თაბუაშვილი, 2013:78)**

ვკითხულობთ: ,,...მოვიდნენ[წინაშე ჩვენსა ჩვენი ერთგულნი ყმანი: უგანაძე გიორგი და დავით და] სამკვიდრო მამული ძველი ძევერა იჩივლეს. მოკითხული ვქენით და სამკვიდროც ამათი ყოფილიყო სამართლიანის საქმით, არც არავის ჴელი ჰქონდა. ჩვენ, ნეფეთ-ნეფემან და თვით-ჴელმწიფემან პატრონმან სვიმონ, თავისი სამკვიდრო ძველი ძევერა ისევ უგანაძეებს უბოძეთ და დავანებეთ გიორგის და დავითს. არას კაცს ამ ძველ ძევერასთან ჴელი არა ქონდეს, მისის სამართლიანის სამძღვრით სამძღვრამდის. ქ(ორონი)კ(ონ)ს სო." **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:341)** თუ დოკუმენტს დავუკვირდებით, აშკარაა, რომ ძველი ძევერა უგანაძეების სამკვიდრო მამული ყოფილა და მათ ეს სოფელი დაკარგეს. სავარაუდოდ, იგი სიმონ I-ის ტყვეობიაში ყოფნის დროს ამილახვრებს უნდა მიეტაცათ. როგორც ჩანს, სიმონის გათავისუფლების შემდეგ უგანაძეებს მამულის დაბრუნების იმედი გაუჩნდათ და მათ საჩივრით სწორედ ქართლის მეფეს მიმართეს. მოგვიანებით, სოფელი ,,ძველი ძევერა" ისტორიულ საბუთებში აღარ იხსენიება. ზემოთ წარმოდგენილი დოკუმენტის შედგენის დროს, სავარაუდოდ, ახალი ძევერაც იქნებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სოფლების ადგილზე დღეისათვის სოფელი ძევერაა. იგი მდ. დიდი ლიახვის და მდ. პატარა ლიახვის შეერთების ადგილის სიახლოვეს მდებარეობს. ქ. გორიდან 14 კმ.-ის დაშორებით. **(ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1987: 267)**.

საისტორიო წყაროების მიხედვით პატარა ლიახვის ხეობაში კიდევ ერთი სოფელი იყო, რომელიც შემდეგ ნასოფლარად იქცა, ან სხვა მეზობელი სოფლის ნაწილი გახდა. დოკუმენტებში ერედვის და სათიხარის გვერდით გვხვდება **ზაკუი.** 1532-1534 წლებით დათარიღებულ საბუთში, რომელიც მცხეთის დაკარგული მამულების ნუსხას წარმოადგენს, ზაკუი მოხსენიებულია ერედვთან ერთად და როგორც ირკვევა, აღნიშნული სოფელი ფავნელიშვილებს ეკუთვნოდა: ,,და აქუს რატიშვილსა წირი, გურზის-ივლიტა...ფავნელიშვილსა ზაკუი და ერედუს გლეხები." **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:137)** ცნობილია, რომ ფავნელიშვილთა გვარი მხარგრძელთა საგვარეულოდან მომდინარე თმოგველ-უჯარმელთა დიდგვაროვანთა სახლს უკავშირდებოდა და მათი ერთი ნაწილი ცხოვრობდა ნიქოზში, რასაც ადასტურებს ნიქოზის საყდრისადმი მათ მიერ ბოძებული სიგელები. **(კაკაბაძე, 1913:7)** ხოლო მეორე ნაწილი კი სახლობდა ერედვში **(სოსიაშვილი, 2011: 115).** უნდა ვივარაუდოთ, რომ ზაკუი ერედვს ემიჯნებოდა და, შესაძლებელია, მოგვიანებით, აღნიშნული სოფლის უბნად იქცა. ზაკუი იხსენიება ასევე 1559 წლის სიგელში, საიდანაც ირკვევა, რომ სიმონ I-მა სვეტიცხოველს შეწირულობა განუახლა. როგორც ჩანს, "ზაკუი მისი მზღურითა" საკათალიკოსოს ეკუთვნოდა. ამ დოკუმენტში ჩამოთვლილია სვეტიცხოვლის მამულები, მათ შორის, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში: ტირძნისში, ზემო მეღვერიკისში, ცოტა მეღვრეკისში, ერეთში (სავარაუდოდ, უნდა ეწეროს ერედვი), მცხეთის საყდარს ეკუთვნოდა ასევე ქორდი, ზაკუი, სათიხარი და სხვ. **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ბ:265)** აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, ზაკუი პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე, ერედვსა სათიხარს შორის მდებარეობდა. შესაძლებელია, აღნიშნული სოფელი ქორდის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს და ერედვის სამხრეთით იყო. ამ მოსაზრებას ამყარებს 1574 დოკუმენტიც, ,,გაცვლილობის წიგნი ნიკოლაოზ კათალიკოსისა ვახტანგ ბატონიშვილისადმი". კათალიკოსმა ვახტანგ ბატონიშვილს (სიმონ I-ის ძმას) მუხრანთან ახლოს მდებარე სოფელ ყურისუბანში სვეტიცხოვლის მამულები გაუცვალა. მათ შორის გადასცა: ,,ერეთს (იგულისხმება ერედვი-გ.ს.) გილაშვილი მისითა მამულითა; ზაკუი მისითა/ მზღურითა..." **(ქართული სამართლის ძეგლები, 1970ბ:277).** როგორც ვხედავთ ზაკუი აქაც ერედვის გვედით იხსენიება. მოგვიანებით საპატრიარქომ უკან დაიბრუნა პატარა ლიახვის ხეობაში არსებული მამულები, რასაც ადასტურებს 1594 წლით დათარიღებულ დოკუმენტი, სადაც ზაკუი მოხსენიებულია ,,ზემო ქართლს" ქორდისა და სათიხარის გვერდით. **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016:438)**

აღსანიშნავია, რომ სოფელი "ზაკუ" არსებობდა ქვემო ქართლში, რაც დასტურდება სიმონ I-ის მიერ მანგლისის ღმრთისმშობლისადმი ბოძებული შეწირულობის წიგნით. **(ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 2016: 439-440)** პატარა ლიახვის ხეობაში,

საცხენისსა და ზელოთს შორის კიდევ ერთი დასახლებული პუნქტი იყო, რომელიც **ედემქალაქის** სახელით იყო ცნობილი. XVIII საუკუნის ბოლოს, იგი იოანე ბატონიშვილს მოხსენიებული აქვს როგორც ,,მოსახლე". **(ბაგრატიონი, 1986:38)** "ედემქალაქი" დატანილია ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზეც. კ. ხარაძე მას ხადურიანთკართან აიგივებს, რომელიც ზელოთთან ახლოს იყო. ხადურიანთკარში მდ. პატარა ლიახვის სანაპიროდან 30 მ.-ის სიმაღლეზე კლდეზე დაშენებული მრგვალი კოშკი იყო შემორჩენილი **(ხარაძე, 1992:137)**.

1922 წლის 20 აპრილს, კრემლმა ოფიციალურად გააფორმა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნა **(თოიძე, 1991:80).** გამოიცა დეკრეტი (#2) „სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მოწყობის შესახებ", რომელსაც ხელს აწერდნენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ს. ქავთარაძე და აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი თ. კალანდაძე **(თოიძე, 1991:84).** ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით შეიყვანეს უძველესი ქართული სოფლები. დეკრეტში აღწერილია ის გეოგრაფიული ხაზი, რომელიც ავტონომიურ წარმონაქმნში მოქცეულ ქართულ სოფლებს დანარჩენი ტერიტორიისგან გამიჯნავდა. ერთი მონაკვეთი სწორედ პატარა ლიახვის ხეობის ზემო წელზე არსებულ სოფლების სამხრეთით გადიოდა, კერძოდ, ცხინვალის სამხრეთიდან სოფელ ერედვს მიუყვებოდა, შემდეგ არბოს ჩრდილოეთ ნაწილში კვეთდა მდ. პატარა ლიახვს, ასევე ჭარებულას მერეთის და კოშკის ზემოთ და შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფელ ფლავისმანის ზემოთ ეშვებოდა. დოკუმენტში ვკითხულობთ: ,,სამხრეთით: სანაპირო ხაზი გაგრძელდება ჭორჭან-წნელისის გზით, გადასჭრის მდინარე ლოპანს, წნელისის ქვევით, მოუხვევს ჩრდილო-აღმოსავლეთით; გაივლის სოფ. ატოცის ზევით, გადასჭრის მდინარე ფრონას სოფ. ოქონის ქვევით, მიიმართება სამხრეთით, მდინარე ფრონის აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ფრონის მარცხენა შენაკადს, სოფ. ქვათეთრის ქვევით; შემდეგ გადასჭრის მდინარე ფრონას (ყორნისისა) სოფ. და დვანას ზევით; გაივლის დვანი-გუჯაბაურის გზის პარალელურად ჩრდილო-დასავლეთის მხრით; გადასჭრის მდინარე დიდ ლიახვს ქალაქ ცხინვალის ქვევით და სოფელ ერგნეთის ზევით; მიებჯინება სოფ. ერედვას; გადასჭრის მდინარე პატარა ლიახვს, სოფელ არბოს ზევით, მდინარე ჭარებულას, სოფელ მერეთისა და კოშკას ზევით; მოუხვევს სამხრეთ-აღმოსავლეთით, გადასჭრის მდინარე ოთრეფას სოფ. ფლავისმანის ზევით და მდ. აძურას და მეჯუდას...". **(თოიძე, 1991:81-82).**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში იძულებით მოქცეული ქართული სოფლების მოსახლეობა მაინც არ ცხრებოდა და ხელისუფლების გადაწყვეტილებას აპროტესტებდა. მოსახლეობის საპროტესტო წერილებზე დაყრდნობით სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს 1922 წლის 16 დეკემბერს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის ა. გეგეჭკორის მოხსენებითი ბარათი გაეგზავნა, სადაც ვკითხულობთ: ,,ვარდგენ რა ამასთანავე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სპეციალურ კომისიის მოხსენებას, ფაქტიურ მასალით დასაბუთებულს, და მიმაჩნია რა საჭიროთ, რომ ორ მეზობელ ერთა შორის ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ყოველივე უთანხმოება-კონფლიქტებს, ტერიტორიალურ ნიადაგზე აღმოცენებულს, და დამყარდეს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობა და თანამშრომლობა, ვშუამდგომლობ სრულიად საქართველოს საბჭოთა

ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე, რათა მიღებულ იქმნას ჯერჯერობით მხოლოდ პრინციპიალური გადაწყვეტილება-გადასინჯულ იქნას დეკრეტი ნომერი მე-2. რაც შეეხება იმ საკითხის დეტალურ გარკვევას, თუ რა ცვლილებანი იქმნას შეტანილი ამ დეკრეტში, ეს მიენდოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომელსაც დაევალოს საკითხის განხილვა სპეციალურ კომისიაში სამხრეთ-ოსეთის წარმომადგენლის მონაწილეობით" **(თოიძე, 1991:85).**

შინაგან საქმეთა კომისრის მიერ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათს თან ერთვოდა ქართულ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის, მათ შორის, საპროტესტო კრებებზე შედგენილი თიღვისა, ოქონისა, სუნისისა, ნაბაკვევისა, ტყის უბნისა, შინდარისა, ნედლათისა, ალი-ბარისა, ახალშენისა და ხუნდისუბნის მცხოვრებელთა ოქმები. (თოიძე, 1991:85) ასეთივე პროტესტი არსებობდა პატარა ლიახვის ხეობის სოფლებში.

23 აგვისტოთი დათარიღებულ ოქმში ახლად შექმნილ ავტონომიურ ოლქში შესვლას აპროტესტებდნენ სოფ. ჭარების (პატარა ლიახვის ხეობა) მცხოვრებნი **(თოიძე, 1991:85).**

ტყვიავის თემის სოფელ დისევის და კულბითის მცხოვრებლებმა ხელისუფლებას ასე მიმართეს: „სამხრეთ-ოსეთზე ჩვენი მიწერა არც ისტორიულად, არც გეოგრაფიულად, არც ეთნოგრაფიულად და არც ეკონომიურად მიზანშეწონილათ და სამართლიანად არ მიგვაჩნია, ამიტომ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა ჩვენ ქართველებს გვარტომობით, უცხო ტომის ხელში არ გადაგვცემს, რომელთანაც ჩვენ არ გვაკავშირებს როგორც ზემოხსენებული გარეუბანი, ისე არც ენა და არც ზნე-ჩვეულებანი" **(თოიძე, 1991:85).**

მსგავსი შინაარსის წერილით მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს სოფ. ძვილეთის მცხოვრებლებმა 1922 წლის 5 ივლისს. **(თოიძე, 1991:85-86)**

ხელისუფლებას იმავე წლის 21 ოქტომბერს პროტესტით მიმართა ასევე ქსნის თემმა (დუშეთის მაზრა) **(თოიძე, 1991:86-87)** და ა. შ.

საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე მცხოვრები ქართული მოსახლეობის მწვავე პროტესტის მიუხედავად, 40 ქართული სოფელი ხელოვნურად შექმნილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის შემადგენლობაში მოექცა. ავტონომიურ ერთეულზე გადაცემული სოფლების სია ეროვნული შემადგენლობის მითითებით საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სპეციალურმა კომისიამ (თავმჯდომარე გრ. გველესიანი, წევრები: დ. კარიჭაშვილი, ს, გიორგაძე) შეადგინა. სიის თანახმად, ახლად შექმნილ ოლქს მიაკუთვნეს თამარაშენის საზოგადოებაში არსებული 12 სოფელი: ზემო აჩაბეთი, ქვემო აჩაბეთი, თამარაშენი, პატარა ძარწემი, დიდი ძარწემი, საბაწმინდა, ქემერტი, ხეითი, დგვრისი, ქურთა, კეხვი, სვერი (ზემოთ მითითებული ოფიციალური დოკუმენტის მიხედვით, თამარაშენის საზოგადოების სოფლებში იმ დროისთვის ცხოვრობდა 4119 ქართველი, 525 ოსი, სხვა ეროვნების 6 ადამიანი). ცხინვალის საზოგადოებიდან: ქ. ცხინვალი, სოფელი გუჯაბაური (იმ დროისთვის ცხინვალში ცხოვრობდა 1185 ქართველი და 2697 სხვა ეროვნების ადამიანი, კომისიის მიერ შედგენილ სიაში იმ დროისთვის ცხინვალში არც ერთი ოსი მაცხოვრებელი არ იყო დაფიქსირებული, სხვა ეროვნების ადამიანებში კი ცხინვალში მცხოვრები სომხები და ებრაელები იგულისხმება). სოფელ გუჯაბაურში 186 ქართველი და 40 ოსი ცხოვრობდა). წუნარის საზოგადოებიდან ოლქს გადაეცა სოფელი ნული (ნულში ცხოვრობდა 413 ქართველი და 23 ოსი). დირბის საზოგადოებიდან სოფელი ძველეთი (324 ქართველი, 10 ოსი, სხვა ეროვნების 10 ადამიანი). ავლევის საზოგადოებიდან სოფლები: ხუნდის უბანი, შინდარა, თიღვა, ძალეთი, ზემო ოქონა, ქვემო ოქონა, ნედლათი, სუფნისი, ნაბაკევი, ჯვრისისი, ბზისხევი (სულ 1526 ქართველი და 324 ოსი). მერეთის საზოგადოებიდან, სოფლები: სნეკვი, ზარდიანთ-კარი, ქსუისი, ჭარები, კულბითი, დისევი (1536 ქართველი და 119 ოსი); ორტევის საზოგადოებიდან, სოფელი ვანათი (432 ქართველი, 48 ოსი). ზელოთის

საზოგადოებიდან სოფლები: აწრისხევი, საცხენეთი, ხაშურა (?) ხადურიანთ-კარი, ბელოთი, ზემო ავნევი, ქვემო ავნევი[12] (სულ 1379 ქართველი, აღნიშნულ სოფლებში, ბოლშევიკების მიერ შედგენილ სიაში არც ერთი ოსი არ ფიქსირდება).

2015 წელს ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის ოფიციალური აღწერის მიხედვით, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ოთხ რაიონად დაიყო. ესენია: ცხინვალის, ლენინგორის (ახალგორის), ზნაურის (ყორნისი), და ჯავის. პატარა ლიახვის ხეობის ის სოფლები, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ ოკუპირებულია, ცხინვალის რაიონში შევიდა და რამდენიმე სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს. მათ შორის სოფელი სარაბუკი და სოფელი კოხათი სარაბუკის სასოფლო ადმინისტრაციას(2015 წლის მდგომარეობით სარაბუკში ცხოვრობდა 79 ადამიანი, აქედან 48 მამაკაცი, 31 ქალი; კოხათში 104 ადამიანი, აქედან 64 მამაკაცი, 60 ქალი); სოფელი ორტევი, სტირკომი, სიხდაგდონი, გულდართა ,,ორტეუს" სასოფლო ადმინისტრაციას (აქედან, ორტევში ცხოვრობდა 8 ადამიანი, 6 მამაკაცი და 2 ქალი; სტირკომში (გაურკვეველია, რომელ დასახლებას დაარქვეს ეს სახელი, აღნიშნული აღწერის მიხედვით, უამრავ ქართულ სოფელს გადაარქვეს სახელი, მაგ. ,,ვანათი"-"უანათა," ,,მამისაანთ უბანი"—"მამისანთა", "ერედვი"-სავარაუდოდ "ირაყაუ", "დისევი"-"დისეუ", "მიდელაანი" (ქსნის ხეობაში) "მიდელათა და სხვ.) 35 ადამიანი, 19 მამაკაცი და 16 ქალი; სიხდაგონში 13 ადამიანი, 6 მამაკაცი და 7 ქალი; მულდანთაში 11 ადამიანი, 5 მამაკაცი და 6 ქალი;

მდ. პატარა ლიახვის მარჯვენა ნაპირზე არსებული სოფლები, რომლებიც ისტორიულ ,,კურბითს" მიეკუთვნებოდა ,,დიხუიზთას" (დიხუიზტსკაიას) სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულს მიაკუთვნეს. აქ შეიყვანეს "დიხუიზთა", სადაც ცხოვრობდა 431 ადამიანი, 230 მამაკაცი და 201 ქალი; სოფელი ნანითა, სადაც ცხოვრობდა 148 ადამიანი, 86 მამაკაცი და 62 ქალი; ხელჩუა-350 მაცხოვრებელი, 203 მამაკაცი და 147 ქალი; ქსუსი-83 მაცხოვრებელი, 46 მამაკაცი და 37 ქალი; დისეუ (დისევი) არც ერთი მაცხოვრებელი; კორკულა - არც ერთი მაცხოვრებელი; ქერე (ქერეს ერთი საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზეა, ხოლო მეორე ოკუპირებულია) - არც ერთი მაცხოვრებელი; ცარუათი-არც ერთი მაცხოვრებელი; დმენისის სასოფლო ადმინისტრაციაში შევიდა სოფელი დმენისი, სადაც 2015 წლის მდგომარეობით 942 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 447 მამაკაცი, 468 ქალი; ,,უანათას" სასოფლო ადმინისტრაციას შევიდა უანათა (ვანათი) სადაც 26 ადამიანი ცხოვრობდა, აქედან 12 მამაკაცი, 14 ქალი; მამისანთაში(მამისაანთ უბანი), 35 მაცხოვრებელი, აქედან 18 მამაკაცი, 17 ქალი; პრისი(ფრისი) - 219 მაცხოვრებელი, 106 მამაკაცი, 113 ქალი; სადიყაუ-10 მაცხოვრებელი, 3 მამაკაცი და 7 ქალი; ელტურა-12 მაცხოვრებელი, 8 მამაკაცი და 4 ქალი; საცხენეთი-13 მაცხოვრებელი, 5 მამაკაცი, 8 ქალი; ბერულა-არც ერთი მაცხოვრებელი; ირიყაუ (სავარაუდოდ ერედვი) არც ერთი მაცხოვრებელი; არგვიცი - არც ერთი მაცხოვრებელი; ბელოთი - არც ერთი მაცხოვრებლი (**Итоги, 2015:17-21**).

ისტორიული პატარა ლიახვის ხეობის ძირძველი სოფლებიდან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს მკვიდრი ქართული მოსახლეობა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო რეგულარული არმიის მოქმედების შედეგად საკუთარი საცხოვრისებიდან გამოაძევეს და დევნილებად აქციეს. ოკუპანტების და მათ სამსახურში მყოფი დე-ფაქტო სამხრეთ ოსეთის ე. ე. რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან ქართული კვალის წაშლა, მხოლოდ მოსახლეობის გამოდევნით არ დასრულებულა, როგორც ზემოთ ვნახეთ სახეზეა ონომასტიკური შტურმი, სოფლების და დასახლებული

[12] სიაში ბელოთის საზოგადოების სოფლების ჩამონათვალში შეცდომით არის მიწერილი ზემო და ქვემო ავნევი, რადგან სოფელი ავნევი მდებარეობას არა პატარა ლიახვის, არამედ ფრონეს ხეობაში.

პუნქტების სახელების გადარქმევა. უამრავი ქართული სოფელი მიწის პირისაგან აღიგავა. ნადგურდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. ოკუპირებული ქართული სოფლების საქართველოს ტერიტორიისაგან ჩამოსაცილებლად კრემლის ძალისხმევით საოკუპაციო ხაზი გაავლო და ისტორიული ქართული მიწა მავთულხლართით გადაიღობა. საოკუპაციო ძალებმა ისევე, როგორც ოკუპირებული ტერიტორიის სხვადასხვა ადგილზე, პატარა ლიახვის ხეობაში, კერძოდ დისევ-კულბითის სიახლოვეს სამხედრო ბაზა ააშენეს, რაც უდიდეს საფრთხეს უქმნის მშვიდობიან მოსახლეობას. თუმცა, დაპყრობილი მიწების მიერთება ამით არ დასრულებულა. დღემდე გრძელდება ე. წ. მცოცავი ოკუპაცია და საოკუპაციო ხაზთან არსებული სოფლებიდან მშვიდობიანი მოსახლეობის გატაცება და ცხინვალის ციხეში გადაყვანა, რაც ზოგჯერ ფატალური შედეგით მთავრდება. ვფიქრობთ, საქართველოში არსებული სიტუაცია, ოკუპირებული ტერიტორიები, ადამიანების უფლებების ფეხქვეშ გათელვა, ათეულობით ქართული სოფელში მკვიდრი მოსახლეობის საცხოვრისების განადგურება, თანამედროვე ცივილიზებული სამყაროს საფიქრალი უნდა იყოს. ამას ყველა წინ უნდა აღუდგეს.

**დასკვნები**

ამრიგად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დასკვნების სახით ითქვას, რომ

- მდ. პატარა ლიახვის შუა და ზემო წელზე მოსახლეობა უძველესი პერიოდიდან (ჯერ კიდევ, ენეოლითსა და ბრინჯაოს ხანიდან) ცხოვრობდა და საქმიანობდა;

- ისინი ბინადარ ცხოვრებას (მიწათმოქმედება, ირიგაცია, თევზჭერა, მეთუნეობა, მეცხოველეობა) ეწეოდნენ და მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენდნენ;

- გავრცელებული ტოპონიმების, ოიკონიმებისა და ჰიდრონიმების გათვალისწინებით (ქორდი (ქორდითირიკო), ქნოღო, საცხენისი (საცხუმეთი), ედემ-ქალაქი, სათიხარი, კულბითი (კურბითი), გერი, შამბიანი (შამბიეთი), ისროლი, ქვაბთა (ქვაბნი), ლიახვი, ფოტნისი (ფოტორი), ღვრია, წიასწყალი, ვირშისწყალი და ა. შ.), ეს მოსახლეობა ეთნიკურად ქართველი იყო;

- ეთნიკური ცვლილებები პატარა ლიახვის შუა და ზემო წელზე, ძირითადად, იწყება გვიან შუა საუკუნეებიდან და XVIII ს. 70-იან წლებში ოსების დასახლებები ჯერ კიდევ ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია, რომ პროცესი ქართველ მეფეთა და ფეოდალთა ინიციატივით მიმდინარეობდა და მის მიზანს ახალჩამოსახლებულთა თავდაცვით და საგადასახადო სტრუქტურებში ჩაბმა განაპირობებდა. ჩამოსახლება ხდებოდა საკუთარი ინიციატივითაც, ღარიბი და მწირი მთის პირობებიდან თავის დაღწევის მიზნით;

- XIX საუკუნიდან, რუსული ხელისუფლების პირობებში ამ პროცესმა მიზანმიმართული და შეუქცევადი ხასიათი მიიღო და ხელისუფლების მთავარ მიზანს ამ ტერიტორიების კოლონიზაცია წარმოადგენდა;

- XX საუკუნის 20-იან წლებში ამ ტერიტორიაზე საბჭოთა ხელისუფლებამ ხელოვნურად შექმნა ავტონომიური ოლქი და, ადგილობრივი, ეთნიკურად ქართველი

მოსახლეობის არაერთი წინააღმდეგობისა და პროტესტის მიუხედავად, მასში იძულებით შეიყვანეს 40 ქართული სოფელი და ქალაქი ცხინვალი;

- 2008 წლის საომარი მოქმედებების შემდეგ, მკვიდრი ქართული მოსახლეობა რუსეთის საოკუპაციო სამხედრო რეგულარული არმიის მოქმედების შედეგად საკუთარი საცხოვრისებიდან გამოაძევეს და დევნილებად აქციეს. ხელოვნური და ძალადობრივი ხასიათი მიეცა ე. წ. ,,ახალი საზღვრების“ დადგენის მცდელობებს და ,,მცოცავ ოკუპაციას“;

- დაიწყო ადგილობრივი ქართული ტოპონიმების, ჰიდრონიმების და ოიკონიმების მიზანმიმართული და ძალადობრივი ცვლილები (მაგ. “ვანათი”-“უანათა“ გახდა, “მამისაანთ უბანი”—“მამისანთა”, “ერედვი”-სავარაუდოდ “ირაყაუ”, “დისევი”-“დისეუ”, “მიდელაანი” (ქსნის ხეობაში) “მიდელათა“ და ა. შ.).

**გამოყენებული ლიტერატურა**

ალიმბარაშვილი, ი. (2021). შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით, გორი.

ბატონიშვილი, ვ. (1973). *აღწერა სამეფოსა საქართველოსა.* ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. (ტ. IV). თბილისი.

ბაგრატიონი, ი. (1986). *ქართლ-კახეთის აღწერა.* ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა. თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (რედ.). (1940). *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან* (ტ. I). თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (რედ.). (1953). *დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან* (ტ. II). თბილისი.

ბერძენიშვილი, ნ. (1967). *საქართველოს ისტორიის საკითხები* (ტ. IV). თბილისი.

გაზეთი *„ივერია“.* (1894 წლის 26 ოქტომბერი). #226.

გვასალია, ჯ. (1976-1977). პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები. *ძეგლის მეგობარი,* გვ. 43-44.

გვასალია, ჯ. (1983). *აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები.* თბილისი.

გვრიტიშვილი, დ. (1955). *ფეოდალური საქართველოს სოციალურ ურთიერთობათა ისტორიიდან.* თბილისი.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1962). გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა (ტ. I). თბილისი.

*გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში.* (1964). გერმანული ტექსტი ქართულად თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა (ტ. II). თბილისი.

ზანდუკელი, მ. (1984). ქალი მეთუნეები შიდა ქართლში. კრებულში: *შიდა ქართლი. ეთნოგრაფიული გამოკვლევა.* თბილისი.

თაბუაშვილი, ა. (2013). *ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები XVIII საუკუნის II ნახევარი.* თბილისი.

თოგოშვილი, გ. (1969). *საქართველო-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან. 15-18 სს.* თბილისი.

თოიძე, ლ. (1991). *როგორც შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი.* თბილისი.

თოფჩიშვილი, რ. (1997). *საქართველოში ოსთა ჩამოსახლებისა და შიდა ქართლის ეთნოისტორიის საკითხები.* თბილისი.

იმნაიშვილი, ი. (1970). *ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია* (ტ. I). თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1913). *თმოგველთა გვარის ისტორიისათვის.* თბილისი.

კაკაბაძე, ს. (1924). ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. *საისტორიო მოამბე.* წიგნი I.

ლიახველი, გ. (1884). მგზავრის შენიშვნები. *დროება*(77).

ლორთქიფანიძე, მ. (1963). *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება.* თბილისი.

მაკალათია, ს. (1943). *ტყვიავის ყორღანული სამარხების არქეოლოგიური გათხრები.* თბილისი.

მაკალათია, ს. (1971). *ლიახვის ხეობა.* თბილისი.

მარღიშვილი, ს. (1982). ორბოძალელთა ფეოდალური საგვარეულო. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, VI.*

მეგრელიძე, ი. (1997). *სიძველეები ლიახვის ხეობაში* (ტ. II). თბილისი.

მესხია, შ. (1954). ძეგლი ერისთავთა. (ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანე): ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ. *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*(ნაკვ. 30), 305-374.

მეფისაშვილი, რ. (1944). ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, V*(10).

მეფისაშვილი, რ. (1955). ერედვის 906 წლის ხუროთმოძღვრული ძეგლი. *ქართული ხელოვნება*(4).

მუსხელიშვილი, დ., ცქიტიშვილი, გ. (1960). შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები. *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I.*

ოთინაშვილი, ნ. (2002). *ლიახვის ხეობის ონომასტიკა.* თბილისი.

ორბელიანი, ს. ს. (1991). *ლექსიკონი ქართული* (ტ. I). თბილისი.

ორბელიანი, ს. ს. (1993). *ლექსიკონი ქართული* (ტ. II). თბილისი.

ჟორდანია, თ. (1897). *ქრონიკები* (ტ. II).

სოსიაშვილი, გ. (2005)ა. *ვანათის ისტორიიდან.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2005)ბ. *სამაჩაბლოს ისტორია.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2007)ა. გზები პატარა ლიახვის ხეობაში. *აღმოსავლეთი და კავკასია* (5).

სოსიაშვილი, გ. (2007)ბ. *პატარა ლიახვის ხეობის ისტორიიდან (სოფელი ქორდი).* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2010)ა. *დიცის ისტორია.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2010)ბ. სოფ. ერედვის ისტორიიდან. *გორის უნივერსიტეტის II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, შრომათა კრებული.*

სოსიაშვილი, გ. (2011). *ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2012). შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, პროფ. გენადი ბურჭულაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია, კონფერენციის მასალები.*

სოსიაშვილი, გ. (2013). შიდა ქართლის ზოგიერთი ტოპონიმის შესახებ. წიგნში: გ. სოსიაშვილი, *შიდა ქართლის ისტორიის საკითხები* (გვ. 54-60). თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2016)ა. ეპიტაფიები სოფელ დიციდან. *ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარული ფაკულტეტი. საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი: შრომები*(XI).

სოსიაშვილი, გ. (2016)ბ. იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და სინას მთის მამულები ლიახვის ხეობაში. *გორის სახელმწიფო საწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული*(9).

სოსიაშვილი, გ. (2016)გ. საკათალიკოსო მამულები პატარა ლიახვის ხეობაში. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. შრომათა კრებული*(11).

სოსიაშვილი, გ. (2016)დ. ლიახვის ხეობის ნასოფლარები. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი: შრომათა კრებული*(10).

სოსიაშვილი, გ. (2017)ა. ათონის ვატოპედის ბერძნული მონასტრის მეტოქი და მამულები პატარა ლიახვის ხეობაში. *საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის და ხელოვნების სერია*(2).

სოსიაშვილი, გ. (2017)ბ. *დიცის წარწერები.* თბილისი.

სოსიაშვილი, გ. (2017)გ. პატარა ლიახვის ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა. *ქართველური მემკვიდრეობა*(XXI).

სოსიაშვილი, გ. (2018)ა. საოსო გზის განმარტებისათვის ქართულ დოკუმენტურ წყაროებში. *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-ოსური ურთიერთობისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია.*

სოსიაშვილი, გ. (2018)ბ. პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ჰიდრონიმები (საკითხის შესწავლისათვის). *ანალები* (14).

ქართველიშვილი, ი. (1952). *მემუარები.* ავთ. იოსელიანის გამოკვლევით, რედააქციით და შენიშვნებით. თბილისი.

*ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი.* (1986). თბილისი.

*ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია.* (1953). V-X საუკუნეების ძეგლები გამოსცა, ტაბულები და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიშვილმა (ტ. I). თბილისი.

*ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.* (2013). XIV-XV საუკუნეები. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს, თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა და ბაბილინა ლომინაძემ. თბილისი.

*ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი.* (2016). XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო). ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, სპარსული ტექსტები მოამზადა თამაზ აბაშიძემ (ტ. IV). თბილისი.

*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* (1986). (ტ. 10). თბილისი.

*ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.* (1987). (ტ. 11). თბილისი.

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1965). (ტ. II). თბილისი.

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1970)ა. ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ი. სურგულაძემ. თბილისი.

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1970)ბ. ტექსტები გამოსცა შესავალი და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ (ტ. III). თბილისი.

*ქართული სამართლის ძეგლები.* (1974). *ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ* (ტ. V). თბილისი.

*ქართული წარწერების კორპუსი.* (1980). ლაპიდარული წარწერები. შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა (ტ. I). თბილისი.

*შიდა ქართლი. პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა.* (2002). (ტ. I). თბილისი.

ჩუბინაშვილი, დ. (რედ.). (1854). *ქართლის ცხოვრება* (ტ. II). სპბ.

ცოტნიაშვილი, მ. (1986). *ცხინვალის ისტორია.* ცხინვალი.

ხარაძე, კ. (1992). *საქართველოს ისტორიული გეოგრაფია. შიდა ქართლი.* თბილისი.

Итоги, (2015). *Итоги всеобщей переписа населения республики Южная Осетия 2015 года.* (2015). Цхинвал. Получено из http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf

Куфтин Б. А.(1949), Археологическая маршрутная экспедиция 1945 г. в Юго-Осетию и Имеретию“

Мачабели, С. В. (1887). Экономический быт государственных крестьян Горийского уезда Тифлисской губернии. В *Материалы для изучения экономического быта государственных крестьян Закавказского края* (Т. VI. ч. I). Тифлис.

Меписашвили, Р., & Цинцадзе, В. (1975). *Архитектура нагорной части исторической провинций Грузии Шида Картли.* Тбилиси.

Техов, Б. (1957). *Позднебронзовая культура Лиахвского басеина.*

Техов, Б. (1963). *К истории изучения памятников эпохи энеолита и бронзы в ныжнем течении реки большой Лиахви.* Тбилиси.

## REFERENCES

alimbarashvili I. (2021), shida qarrtlis (goris mazris) mosaxleoba XIX s. pirveli ocwleulis rusuli kameraluri agwerebis mixedviT, gori.

bat'onishvili, v. (1973). *aghts'era sameposa sakartvelosa [Description of the Kingdom of Georgia].* kartlis tskhovreba [The Georgian Chronicles]. The text is established according to all major manuscripts by S. Kaukhchishvili. IV. Tbilisi.

bagrat'ioni, i. (1986). *kartl-k'akhetis aghts'era [Description of Kartl-Kakheti].* The text was prepared for publication, attached it to the research and search engines by Tina Enukidze and Guram Bedoshvili. Tbilisi.

berdzenishvili, n. (red.). (1940). *dok'ument'ebi sakartvelos sotsialuri urtiertobis ist'oriidan [Documents from the social relations history of Georgia].* I. Tbilisi.

berdzenishvili, n. (red.). (1953). *dok'ument'ebi sakartvelos sotsialuri urtiertobis ist'oriidan [Documents from the social relations history of Georgia].* II. Tbilisi.

berdzenishvili, n. (1967). *sakartvelos ist'oriis sak'itkhebi [Issues of the Georgian History].* IV. Tbilisi.

gazeti *„iveria“* [Newspaper *„Iveria“*]. (1894 ts'lis 26 okt'omberi). #226.

gvasalia, j. (1976-1977). p'at'ara liakhvis kheobis ist'oriuli dzeglebi [Historical monuments of Patara Liakhvi gorge]. *dzeglis megobari [Dzeglis Megobari].* pp. 43-44.

gvasalia, j. (1983). *aghmosavlet sakartvelos ist'oriuli geograpiis nark'vevebi [Essays on the Historical Geography of Eastern Georgia].* Tbilisi.

gvrit'ishvili, d. (1955). *peodaluri sakartvelos sotsialur urtiertobata ist'oriidan [From the history of social relations of feudal Georgia].* Tbilisi.

*giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's Travel in Georgia].* (1962). The German text was published with a Georgian translation and the research was attached bt G. Gelashvili. I. Tbilisi.

*giuldensht'edt'is mogzauroba sakartveloshi [Guldenstedt's Travel in Georgia].* (1964). The German text was published with a Georgian translation and the research was attached bt G. Gelashvili. I. Tbilisi.

zanduk'eli, m. (1984). kali metuneebi shida kartlshi [Female potters in Shida Kartli]. k'rebulshi: *shida kartli. etnograpiuli gamok'vleva* [In the collection*: Shida Kartli: Ethnographic study*]. Tbilisi.

tabuashvili, a. (2013). *kalak tskhinvalisa da misi mimdebare soplebis aghts'eris davtrebi XVIII sauk'unis II nakhevari [Books of the census of the city of Tskhinvali and its surrounding villages in the second half of the XVIII century].* Tbilisi.

togoshvili, g. (1969). *sakartvelo-osetis urtiertobis ist'oriidan. 15-18 ss. [From the history of Georgian-Ossetian relations. 15-18 cc.].* Tbilisi.

toidze, l. (1991). *rogorts sheikmna samkhret osetis avt'onomiuri olki [How the South Ossetian autonomous region was established].* Tbilisi.

topchishvili, r. (1997). *sakartveloshi osta chamosakhlebisa da shida kartlis etnoist'oriis sak'itkhebi [Issues of Ossetian Settlement in Georgia and Ethnohistory of Shida Kartli].*Tbilisi.

imnaishvili, i. (1970). *kartuli enis ist'oriuli krest'omatia [Historical chrestomathy of the Georgian language].* I. Tbilisi.

k'ak'abadze, s. (1913). *tmogvelta gvaris ist'oriisatvis [For the history of Tmogveli House].* Tbilisi.

k'ak'abadze, s. (1924). kartuli sakhelmts'ipoebriobis genezisis sak'itkhebi [The issues of the genesis of the Georgian statehood]. *saist'orio moambe [Historical Moambe].* I.

liakhveli, g. (1884). mgzavris shenishvnebi [Remarks of a passenger]. *droeba [Droeba].* (77).

lortkipanidze, m. (1963). *peodaluri sakartvelos p'olit'ik'uri gaertianeba [Political Union of Feudal Georgia].* Tbilisi.

mak'alatia, s. (1943). *t'qviavis qorghanuli samarkhebis arkeologiuri gatkhrebi [Archaeological excavations of Tkviavi tombs].*Tbilisi.

mak'alatia, s. (1971). *liakhvis kheoba [Liakhvi Gorge].* Tbilisi.

marghishvili, s. (1982). orbodzalelta peodaluri sagvareulo [The feudal family of the Orbodzelis]. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [Collection of the historical geography of Georgia].* VI.

megrelidze, i. (1997). *sidzveleebi liakhvis kheobashi [Antiquities in Liakhvi gorge].* II. Tbilisi.

meskhia, sh. (1954). dzegli eristavta. (ksnis eristavta sagvareulo mat'iane) [Monument to the Eristavs. (Family Chronicle of the Ksani Eristavs)]. The text was published, research, dictionary and search engine were added by Shota Meskhia. *masalebi sakartvelosa da k'avk'asiis ist'oriisatvis [Materials for the History of Georgia and the Caucasus].* 30, 305-374.

mepisashvili, r. (1944). eredvis ts'm. giorgis ek'lesiis saamsheneblo ts'arts'era [Builder's inscription of the St. Giorgi church of Eredvi]. *sakartvelos ssr metsnierebata ak'ademiis moambe [Messenger of the Academy of Sciences of the Georgian SSR].* V(10).

mepisashvili, r. (1955). eredvis 906 ts'lis khurotmodzghvruli dzegli [Eredvi Architectural site of 906]. *kartuli khelovneba [Georgian Art].* (4).

muskhelishvili, d., & tskit'ishvili, g. (1960). shida kartlis 1955 ts'. dazverviti eksp'editsiis shedegebi [Results of the 1955 exploratory expedition in Shida Kartli]. *sakartvelos ist'oriuli geograpiis k'rebuli [Collection of the Historical Geography of Georgia].* I.

otinashvili, n. (2002). *liakhvis kheobis onomast'ik'a [Onomastics of Liakhvi gorge].* Tbilisi.

orbeliani, s. s. (1991). *leksik'oni kartuli [Georgian lexicon].* I. Tbilisi.

orbeliani, s. s. (1993). *leksik'oni kartuli [Georgian lexicon].* II. Tbilisi.

zhordania, t. (1897). *kronik'ebi [Chronicles].* II.

sosiashvili, g. (2005)a. *vanatis ist'oriidan [From the history of Vanati].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2005)b. *samachablos ist'oria [History of Samachablo].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2007)a. gzebi p'at'ara liakhvis kheobashi [Passways in Patara Likahvi gorge]. *aghmosavleti da k'avk'asia [East and the Caucasus].* (5).

sosiashvili, g. (2007)b. *p'at'ara liakhvis kheobis ist'oriidan (sopeli kordi) [From the history of Patara Likahvi gorge (village Kordi)].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2010)a. *ditsis ist'oria [History of Ditsi].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2010)b. sop. eredvis ist'oriidan [From the history of Eredvi]. *goris universit'et'is II saertashoriso sametsniero k'onperentsia, shromata k'rebuli [II International Scientific Conference of Gori University, Proceedings].*

sosiashvili, g. (2011). *nark'vevebi liakhvis kheobis ist'oriidan [Essays from the history of Liakhvi gorge].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2012). shida kartlis zogierti t'op'onimis shesakheb [About some toponyms of Shida Kartli]. *goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'i, p'rop. genadi burch'uladzis*

*khsovnisadmi midzghvnili sametsniero k'onperentsia, k'onperentsiis masalebi [Gori State Teaching University, Scientific conference dedicated to the memory of Prof. Genadi Burchuladze, conference materials].*

sosiashvili, g. (2013). shida kartlis zogierti t'op'onimis shesakheb [About some toponyms of Shida Kartli]. ts'ignshi: g. sosiashvili, *shida kartlis ist'oriis sak'itkhebi* [In the book: G. Sosiashvili, *Issues of the hsitory of Shida Kartli*]. (pp. 54-60). Tbilisi.

sosiashvili, g. (2016)a. ep'it'apiebi sopel ditsidan [Epitaphs from village Ditsi]. *ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i, humanit'aruli pak'ult'et'i. sakartvelos ist'oriis inst'it'ut'i: shromebi [Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Faculty of Humanities. Georgian Institute of History: Proceedings].* (XI).

sosiashvili, g. (2016)b. ierusalimis jvris monast'risa da sinas mtis mamulebi liakhvis kheobashi [Lands of the Monastery of the Cross in Jerusalem and Mount Sinai in the Liakhvi gorge]. *goris sakhelmts'ipo sats'avlo universit'et'is ist'oriisa da arkeologiis sasts'avlo-sametsniero tsent'ris shromata k'rebuli [Proceedings of the History and Archeology Teaching-Scientific Center at Gori State Teaching University] (9).*

sosiashvili, g. (2016)g. sak'atalik'oso mamulebi p'at'ara liakhvis kheobashi [Lands owned by Catholicos in Patara Liakhvi gorge]. *goris sakhelmts'ipo sats'avlo universit'et'is ist'oriisa da arkeologiis tsent'ri. shromata k'rebuli [Proceedings of the History and Archeology Teaching-Scientific Center at Gori State Teaching University] (11).*

sosiashvili, g. (2016)d. liakhvis kheobis nasoplarebi [Deserted villages of Liakhvi gorge]. *goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'is ist'oriisa da arkeologiis tsent'ri: shromata k'rebuli [Proceedings of the History and Archeology Teaching-Scientific Center at Gori State Teaching University] (10).*

sosiashvili, g. (2017)a. atonis vat'op'edis berdznuli monast'ris met'oki da mamulebi p'at'ara liakhvis kheobashi [Church and estates of the Greek monastery of Athos Vatopedi in the Little Liakhvi gorge]. *sakartvelos metsnierebata erovnuli ak'ademiis matsne. ist'oriis, arkeologiis da khelovnebis seria Herald of the Georgian National Academy of Sciences. History, Archeology and Art Series]. (2).*

sosiashvili, g. (2017)b. *ditsis ts'arts'erebi [Ditsi inscriptions].* Tbilisi.

sosiashvili, g. (2017)g. p'at'ara liakhvis kheobis ist'oriul-geograpiuli mimokhilva [Historical-geographical overview of Patara Liakhvi gorge]. *kartveluri memk'vidreoba [Kartvelian heritage].* (XXI).

sosiashvili, g. (2018)a. saoso gzis ganmart'ebisatvis kartul dok'ument'ur ts'qaroebshi [For the definition of "Saoso" road in the Georgian documentary sources]. *iv. javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is kartul-osuri urtiertobisadmi midzghvnili III saertashoriso sametsniero k'onperentsia III International Scientific Conference Dedicated to Georgian-Ossetian Relations at Iv. Javakhishvili Tbilisi State University].*

sosiashvili, g. (2018)b. p'at'ara liakhvis kheobashi gavrtselebuli hidronimebi (sak'itkhis shests'avlisatvis) [Hydronyms common in Little Liakhvi gorge (for case study)]. *analebi [Annals].* (14).

kartvelishvili, i. (1952). *memuarebi [Memoirs].* A. Ioseliani research, edition and remarks. Tbilisi.

*kartuli enis ganmart'ebiti leksik'oni [Explanatory Dictionary of Georgian Language].* (1986). Tbilisi.

*kartuli enis ist'oriuli krest'omatia [Chrestomathy of the Georgian language].* (1953). Monuments of V-X centuries Published, attached tabulations and a dictionary by A. Imnaishvili. I. Tbilisi.

*kartuli ist'oriuli sabutebis k'orp'usi [Corpus of the hsitorical documents of Georgia].* (2013). XIV-XV sauk'uneebi [XIV-XV centuries]. Compiled and prepared for publication by Tinatin Enukidze, Nino Tarkhnishvili and Babilina Lominadze. Tbilisi.

*kartuli ist'oriuli sabutebis k'orp'usi [Corpus of the hsitorical documents of Georgia].* (2016). XVI sauk'une (kartli da samtskhe-saatabago) [XVI century (Kartli and Samtskhe-Saatabago)]. The volume was compiled and Georgian texts were prepared for publication by Mzia Surguladze, Persian texts were prepared by Tamaz Abashidze. IV. Tbilisi.

*kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian soviet encyclopedia].* (1986). 10. Tbilisi.

*kartuli sabch'ota entsik'lop'edia [Georgian soviet encyclopedia].* (1987). 11. Tbilisi.

*kartuli samartlis dzeglebi [Georgian legal codes].* (1965). II. Tbilisi.

*kartuli samartlis dzeglebi [Georgian legal codes].* (1970). Texts were prepared for publication, attached studies, dictionaries and search engines by I. Surguladze. Tbilisi

*kartuli samartlis dzeglebi [Georgian legal codes].* (1970)b. The texts were published with an introduction and the search engines were attached by Prof. I. Dolidze. III. Tbilisi.

*kartuli samartlis dzeglebi [Georgian legal codes].* (1974). The texts were published with an introduction and the search engines were attached by Prof. I. Dolidze. V. Tbilisi.

*kartuli ts'arts'erebis k'orp'usi [Corpus of the Georgian Inscriptions].* (1980). lap'idaruli ts'arts'erebi [Lapidary inscriptions]. Compiled and prepared for publication by N. Shoshiashvili. I. Tbilisi.

*shida kartli. p'at'ara da didi liakhvis kheobebis arkit'ekt'uruli memk'videreoba [Shida Kartli. Architectural heritage of the Didi and Patara Likahvi gorges].* (2002). I. Tbilisi.

chubinashvili, d. (red.). (1854). *kartlis tskhovreba [Chronicles of Kartli].* II. Saint Petersburg.

tsot'niashvili, m. (1986). *tskhinvalis ist'oria [History of Tskhinvali].* Tskhinvali.

kharadze, k'. (1992). *sakartvelos ist'oriuli geograpia. shida kartli [Historical Gepgraphy of Georgia. Shida Kartli].* Tbilisi.

*Itogi vseobshhej perepisa naselenija respubliki Juzhnaja Osetija 2015 goda [Results of the Universal census of the South Ossetian population in 2015].* (2015). Tskhinval. Retrieved from http://ugosstat.ru/wp-content/uploads/2017/06/Itogi-perepisi-RYUO.pdf

Machabeli, S. V. (1887). Jekonomicheskij byt gosudarstvennyh krest'jan Gorijskogo uezda Tiflisskoj gubernii [The Economic life of Gori District state peasants of Tiflis province]. *Materialy dlja izuchenija jekonomicheskogo byta gosudarstvennyh krest'jan Zakavkazskogo kraja [Materials for the study of the economic everyday life of state peasants of the Transcaucasian Region].* VI. I). Tiflis.

Mepisashvili, R., & Cincadze, V. (1975). *Arhitektura nagornoj chasti istoricheskoj provincij Gruzii - Shida Kartli [The architecture of the mountainous part of the Georgian historical province – Shida Kartli].* Tbilisi.

Tehov, B. (1957). *Pozdnebronzovaja kul'tura Liahvskogo baseina [The Late Bronze culture of the Liakhvi basin].*

Tehov, B. (1963). *K istorii izuchenija pamjatnikov jepohi jeneolita i bronzy v nyzhnem techenii reki bol'shoj Liahvi [For the study of the monuments of Copper and Bronze Ages in the lower stream of the river Didi Liakhvi].* Tbilisi.